

ლიტერატურული გაზეთი

№73 27 აპრილი - 10 მაისი 2012

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



მაჩაბლის 13. ისტორია ბრძელდება

ეს სახლი ისევ მაჩაბლის 13-ში დგას. ის არავის დაუნგრევია, არც გაუყვია და არც მწერლებისთვის წაურთმევია. ამ შენობის გარშემო ათასგვარი ჭორი ტრიალებდა. დროდადრო მაჩაბლის ქუჩა მიტინგების ადგილად გარდაიქმნებოდა. სიტყვით გამოდიოდნენ ისინიც, ვისაც მწერალთა სამყაროსთან არასდროს არანაირი შეხება არ ჰქონია — აქ პატრიოტობას იჩემებდნენ, ეროვნულ ღირებულებებზე ლაპარაკობდნენ, ზუსტად არ იცოდნენ ვის, მაგრამ მაინც პოულობდნენ ვილაცას, ვისაც არარსებულ ბრალდებებს უყენებდნენ, უმისამართოდ იმუქრობდნენ, მავანნი კი სრულიად აპოლიტიკურ სიტუაციას პოლიტიკურ ავანსცენაზე ათამაშებდნენ. მოკლედ, ვნებათაღელვა არ ცხრებოდა. თუმცა, ყველაფერს საბოლოოდ წერტილი მაშინ დაესვა, როცა გამოვიდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებულება — „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — მწერალთა სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“, სადაც წერია: „მწერალთა სახლის მიზნები და ამოცანებია: ა) ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია (ქართული მწერლობის შესახებ საინფორმაციო ბაზის, ელექტრონული ბიბლიოთეკისა და მრავალენოვანი ლიტერატურული პორტალის შექმნა; ბ) მხატვრული თარგმანის განვითარება; გ) უცხოეთის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უწყებებთან და კავშირებთან კონტაქტების განვითარება; დ) სალიტერატურო პროცესების ხელშეწყობა (ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვები, განხილვები, დისპუტები); ე) ლიტერატურული კონკურსების, პრემიების დაწესება; ვ) ლიტერატურული გაზეთის დაფუძნება და გამოცემა.“

ეს ბრძანებულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი აღმოჩნდა იმის დასამტკიცებლად, რომ მაჩაბლის 13-ში მდებარე სახლი კულტურულ კერად და მწერალთა თავშეყრის, მათი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ცენტრად გარდაიქმნებოდა.

ეს სახლი ისევ მაჩაბლის 13-ში დგას და ყველა, ვინც მას ახლო-მახლო ჩაუვლის, ინტერესით უყურებს. უზარმაზარი ფანჯრებიდან ხარაჩოები მოჩანს. სარემონტო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. ცალი თვალითაც რომ შეგახედო, მაშინვე შეიგრძნობ — აქ ისევ ის აურა ტრიალებს, საუკუნის წინათ ასე ძალიან რომ ხიბლავდა ქართულ საზოგადოებას. დღეს ეს უნიკალური, მაღალი მანსარდით დახურული ორსართულიანი ხელოვნური ქვით მოპირკეთებული ნაგებობა ახალ სიცოცხლეს იძენს; მწერალთა სახლის დირექტორობა კი ნატა ლომოურს მიანდეს.

დამიტრი ერმაკოვის ფოტო. 1905 წელი.

VIII-IX

ორი მთავარი ქუჩა ჰქონდა თბილისს და თავშეყრის ადგილების უმრავლესობა სწორედ ამ ორ ქუჩაზე იყო განლაგებული.

დრამატული თეატრების რაოდენობით თუ რუსთაველის გამზირი პირველობდა ხუთით სამის წინააღმდეგ, პლენარის პროსპექტზე შეიქმნა კინოთეატრი იყო შესახვევებსა და ჩასახვევებში მდებარე ორი კინოთეატრის ჩათვლით.

რაც შეეხებოდა ე.წ. „სახვევების ობიექტებს“, ანუ იაფფასიან სასაბინოებსა და სახინკლებს, მათ ნაკლებობას არცერთი და არც მეორე გამზირი არ უჩიოდა. უფრო ცნობილი სახინკლები რუსთაველს ეკუთვნოდა — სასტუმრო „ივერიისა“, კომკავშირელ ძნელადის ქუჩის დასაწყისში და სასტუმრო „თბილისისა“, მებომბე ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, სარდაფში. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე სახინკლებში ქალის ყოფნა ისეთივე წარმოუდგენელი იყო, როგორც იქაურობის მთავარ ატრიბუტ — ქვის ზედაპირიან მაღალ მაგიდაზე ფერადი ცუკატებით მორთული ტორტის დანახვა. თუმცა, „სლაქების“ — ბოლოგანიერი შარვლების თაობაზე ტაბუ დაარღვია და ხინკლის ორთქლითა და თამბაქოს კვამლით გაბუღულ კაცების სამფლობელოში გოგონებიც შეუშვა — მოკლეკაბიანი, თამამი არსებები, რომელთა გამო ხშირად ილენებოდა ლუდის მძიმე კათხები და ავხორცი მზერის მქონე ტიპების ყბები.

საშაქარლამოები და საკონდიტროები პლენარის უკეთესი ჰქონდა. აბა, სად მილიციის მეექვსე განყოფილების, ე.წ. „შისტოის“ გვერდით მდებარე ძვირფასეულობის ზარდახმასავით პატარა და კობტა კაფე უნაზესი კრემიანი ლეგუნდებითა და ქაფკაფა კაკაოთი და სად „ნარგიზი“ „ლალიძის წყლების“ გადაღმა, სადაც ქიშიშიანი კექსების სურნელებს გვერდებამწვარი ხორციანი ბლინების მძაფრი სუნი ერეოდა და ვერ გაიგებდი, სასადლოში იყავი თუ საკონდიტროში...

სუნზე თუ მიდგებოდა საქმე, სუნი „ობლებში“ იდგა, თუ იდგა — წყალნარევი, ოდნავ მომყავო ჩამოსასხმელი ლუდის, ზეთში შემწვარი თევზის და მოშუშული კომბოსტოსი. ეს გახლდათ რუსთაველის გამზირზე, მელიქ-კახარიანცის ძველ და ლამაზ სახლში განთავსებული ლარიბ-ლატაკთა სასადლო, რომელსაც „ზემელისა“ და ვერისუბნის ლოთებიც ეტანებოდნენ ლუდისა და მისაყოლებლის სიაფის გამო. „ყაზბეგშიც“ იაფობა იყო, მასაც მელიქ-კახარიანცის სახლში ედო ბინა, ოღონდ სარდაფში. იქ ყველაფერი ერთი მანეთი ღირდა — ერთი ბოთლი ღვინოც — „ჰერეთი“ ან „საერო“ — ერთი თევზი მწვანილიც და ერთი ტაფა შემწვარი ღვინოც. „ყაზბეგში“ უმეტესად სტუდენტები ჩადიოდნენ; ხუთი ბიჭი ოც მანეთს თუ მოიგდებდა ხელში, თხუთმეტ მანეთს ღვინოში ხარჯავდა და მხოლოდ ხუთ მანეთს საჭმელში.

სარდაფები პლენარისკენ არ აკლდა, განსაკუთრებით მარჯანიშვილის მოედნიდან ყოფილ ვორონცოვის მოედნამდე მონაკვეთს. იმ სარდაფებს „სასაუზმეები“ ერქვათ და თითქმის ყველგან ამზადებდნენ სისხამი დილის წვნიანს, ნაბახუსევის უებარ მაღამოს — ხაშს — ნივრინი წვენით, კარგად მოხარშული საქონლის ჩლიქებითა და ფაშვით. საცხე მათლაფა ორმოცდაათი კაპიკი ღირდა, რამდენიმე ნაჭერი პური და ერთი ბოთლი ლიმონათი — ოცდაათი კაპიკი. ოთხმოც კაპიკად ნაბახუსევის თავის ტკივილსაც მოიშორებდი და კარგად დანაყრებულს საღამომდე აღარ შეგანუხებდა შიმშილი. ვისაც საღამომდე ვთქვით, ნაშუადღევს მოივებოდა, გემრიელად დანაყრება საღვე-ზელეებში შექმნილი. პლენარისზე ორი საღვეზელე იყო; ერთი ცნობილი იმით, რომ იქ კინო გადაიღეს, სახელად „გიორგობისთვე“, ხოლო მეორე კი იმით, რომ მის საცხოვრებელ უგემრიელესი ხორციანი ღვეზელები იბრანებოდა ცოტა ბრინჯით და ბლომად დაკეპილი ხორციით. ღვეზელი ორივეგან ათი კაპიკი ღირდა. სკოლიდან წამოსულ მერვეკლასელ ბიჭს ხუთი ცალი ჰყოფნიდა იმისათვის, რომ შინ დაბრუნებულს უარი ეთქვა საძულველ „სოუზზე“, ან „სუფზე“, ხოლო შესვენებაზე გამოსულ მამის ბიუროს, ან სახლმართველობის თანამშრომელ გოგონას —



ზაალ სამადაშვილი

მე მთელ თბილისზე არ ვყვები...

სამი ცალი, რათა სამუშაო დღის დასრულებამდე ყურადღებით ეფურცლა სქელი დავთრები და უშეცდომოდ შეეცნო ოქმებს.

ხელფასის აღების დღეს ეს გოგონები ცოტაოდნე ტკბილედ ყიდულობდნენ ხოლმე პირის ჩასატკბარუნებლად და ამ სასიამოვნო საქმეს, სამსახურის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ან მარჯანიშვილის, ან თავისუფლების (იმ დროს ბოლშევიკთა ბელადის სახელობის) მოედანზე ახორციელებდნენ; ქალაქის ორ ყველაზე დიდ და კედლებმორჩეულ ოქმებზე საკონდიტროში. მათი და არამხოლოდ მათი საყვარელი სასუსნავეები გახლდათ შოკოლადის გარსიანი სუფლე, სხვადასხვა ფერისა და ფორმის შაქარმოყრილი მარმელადი, თბილის გულეხიანი, რეზინასავით წელვადი ნუგა და ლითონის თხელ, მრგვალ ყუთებში მოჩხარუნე საწინი კანფეტები — ე.წ. „მომპასი“. ეს სახელი ფრანგულ „მონპანსიდან“ მომდინარეობდა.

„კონფიტიურიც“ ფრანგული სიტყვა იყო და ჩვენებურად ჯერ, ანუ ხილფაფას ნიშნავდა. შუშის უბრალო ქილების ნაცვლად თუნუქისა და ხის გრძელ ყუთებში მოთავსებული, ეგზოტიკური ხილულისგან დამზადებული ჯემები ე.წ. „ცეკავშირის“ მაღაზიებში იყიდებოდა. რუსთაველის „ცეკავშირს“, სადაც მანგოს კონფიტიურთან ერთად ნებოვანი ფინიკის ბრიკეტებიც ეწყო დახლზე, ყველა მაღაზიისგან განსხვავებული ვიტრინა ჰქონდა. მის სქელ და კრიალა შუშაზე უწყვეტად ჩამოედინებოდა წყალი და გარედან რომ შეხედავდა ვინმე, ეგონებოდა ვიტრინაში გამოდებულ ხილს და ბოსტნულს საგანგებოდ ასველებდნენ.

ვიტრინების თვალთვალზე თუ მიდგებოდა საქმე, ტანსაცმლისა და ნაჭრების მაღაზიებზე მეტად, მრავლად რომ გვხვდებოდა როგორც ერთ, ისე მეორე ქუჩაზე, მოდების ატელიეებსა და მესაათების სახელოსნოებთან ჯობდა ნაბიჯის შენელება. მაღაზიებთან შედარებით, მოდების ატელიეების ვიტრინებში უფრო მოხდენილად გამოწყობილი მანეკენები იდგნენ; ხოლო იმდენი სახეობის საათს, გნებავთ ჯიბისას — ძენკვით სატარებელს, გნებავთ მაჯისას და გნებავთ სადგამიანს — კომოდზე, ან სანერ მაგიდაზე დასადებს, ქალაქის ყველაზე დიდ, სამსართულიან უნივერსიტეტში.


ღმრთეობის ნახავდით. საუკეთესო მესაათები რუსთაველზე, ოპერისა და ბალეტის თეატრის მოპირდაპირე მხარეს იხდნენ — პატარა, მყუდრო სახელოსნოში, სადაც „ვორონცოვის“ საღვეზელეს მსგავსად, რეჟისორ იოსელიანის კიდევ ერთი ფილმის ეპიზოდი იყო გადაღებული. ყველაზე მაგარ პულოვერებსა და სვიტერებს ვარციხის ქუჩისა და პლენარისის გადაკვეთაზე მდებარე ატელიეში ქსოვდნენ. ისეთ პულოვერებს, აღენ დელონს რომ ეცვა ლუკინო ვისკონტის „როკო და მისი ძმებში“ და ისეთ სვიტერებს, სქელებს და მაღალყელიანებს, ჰემინგუეის რომ ამშვენებდა კი-უესტში გადაღებულ ფოტოზე.

რაკი დამშვენება ვახსენეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ გამზირებზე სეირნობისას ვერ ნახავდით ვერცერთ კინოთეატრს, რომლის ფასადსაც ხელით დახატული აფიშა არ ამშვენებდა. ნახატების უმრავლესობა განაფული ოსტატების მიერ იყო შესრულებული. ვებერთელა, ოთხკუთხა ჩარჩოზე გადაჭიმული ტილოების პერსონაჟები თითქმის ყოველთვის ჰგავდნენ ეკრანზე მოქმედ გამირებს. მსგავსების მხრივ საუკეთესო აფიშები გახლდათ: დ'არტანიანი და მილედი — ჟერარ ბარე და მილენ დემონჟო — „ამირანის“, ამაღეო მოდილიანი და ჟანა ებიუტერნი — ჟერარ ფილიპი და ანუკ ემე — „კომკავშირის“ მთავარი შესასვლელის თავზე.

კინოთეატრებს მხოლოდ ფილმების სანახავად არ ეტანებოდა ხალხი. ზოგან მცირე ორკესტრებს ინვენდნენ და სეანსის დაწყების წინ, „მზიური ველის სერენადის“ მელოდიებს ასრულებდნენ; ზოგან ვაფლის ქიქიანი ნაყინის საფარქვეშ მალულად ჰყიდდნენ კონტრაბანდულად შემოტანილ „ქემელსა“ და „ფილიპ მორისს“; ზოგან ფიფი კლაისერებით დატვირთული ფილატელისტები იკრიბებოდნენ კვირაობით და სულ რაღაც სამ მანეთად ტოგოს და ბურუნდის საფოსტო მარკების ყიდვა შეეძლო აფრიკის ფაუნით დაინტერესებულ ადამიანს; ზოგს ბუფეტი ჰქონდა არაჩვეულებრივი, სადაც მვეიცარული ყველის, დეფიციტური „შპროტის“ და მაგრად მოხარშული უქონო ძეხვის ბუტერბროდებს შემოგთავაზებდნენ; კონოთეატრ „ოქტომბერს“ კი, ფართოფორმატიან, კედლიდან კედლამდე გადაჭიმულ ეკრანთან ერთად, თავისი, პირადი ლეგენდა გააჩნდა — თუ როგორ მოახერხა უბილეთო მაყურებელმა დარბაზში ჩაღწევა შენობის გუმბათიდან სტენლი კუბრიკის „სპარტაკის“ სანახავად და როგორ მოუღობო გული ამ თავგანწირულმა საქციელმა ადმინისტრაციის მიერ გამოძახებულ მრისხანე მილიციელებს.

ჯაზის ახალგაზრდა მოყვარულის საქციელმა კი, არათუ გული მოუღობო, პირიქით, ისე გააბრაზა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველები, რომ ვინცოც ტოტეზიან შარვალსა და წითელ-ყვითელ, მკერდამდე ჩაღვლილ პერანგში გამოწყობილ ყმანვილს, ჯარმა არ აკმარეს და თხოვრები დღით ჩააყუდეს საკანში წვრილმანი ხულიგნობისათვის. სწორედ წვრილმან ხულიგნობად შეფასდა მისი აჭრა ფილარმონიის სცენაზე და მუსიკის რიტმს აყოლილი ცეკვა. სცენაზე კი, არც მეტი, არც ნაკლები — ლეგენდარული ბენი გულმენი იდგა და თავისი ჯადოსნური კლარნეტით ასევე ლეგენდარულ კომპოზიციას, სახელად — „SING, SING, SING“-ს ასრულებდა. ეს ამბავი ფილარმონიის ლეგენდა გახლდათ, თითქმის მთლიანად ხისგან აგებული ლამაზაივანიშვილის შენობისა, რომელიც პლენარისზე მდებარე კინოთეატრ „ამირანის“ უკან, ჭადრებით და ცაცხვებით დაჩრდილულ ბაღში იდგა...

ერთი ძველისძველი, ონავრული სიმღერისა არ იყოს, რომლის ტექსტი კორნეი ჩუკოვსკის ან ისააკ ბაბელის დანერგვის ჰგავს — მე მთელ თბილისზე არ ვყვები, რადგან მთელი თბილისი დიდზე დიდია. მასზე საუბარს გაცილებით სერიოზული მთხრობელი სჭირდება, ვიდრე მე ვარ; თუნდაც ისეთი, ვინც მეტნაკლებად დამაჯერებლად ახსნის — როგორ მოხვდა „რკინის ფარდის“ აქეთა მხარეს მუსიკის „ბურჟუაზიული“ ჟანრის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ვისი მოსმენაც, „იდეოლოგიურ ხარვეზად“, ანუ დიდ ცოდვად მიიჩნეოდა; ანდა რატომ ითვლებოდა დელიკატესად და რატომ არ იმოკლებოდა „შპროტი“ — ჯერ შებოლილი და მერე ზეთი დაკონსერვებული ზღვის ღორჯო; ანდა კიდევ, რატომ ერქვა შეროზიას ქუჩისა და პლენარისის კვეთაზე მდებარე დრამატულ თეატრს „სანკულტურის“, ანუ „სანიტარული კულტურის“...



დაბიუტი



სოლენე ღრამონდ ღრამსი:

შობა დგებოდა. რიჩარდმა და ჰენრიმ ვერ გადაამიბირეს, რომ მათთან ერთად ლონდონში შევხვედროდი დღესასწაულს.

იმ წელს არ მოუთვია. შინ ყველაფერი ნესრიგში დამხვდა. მინდორი მოვლილი იყო და ბუჩქები გაკრეჭილი.

ბოლოს რომ შევხვდით, ელი შებოჭილი მეჩვენა. როგორც კი რამის თქმას დავაპირებდი, დაძაბული მომჩერებოდა ხოლმე, თითქოს წინასწარ უნდოდა ამოეკითხა ჩემი სიტყვები.

ილექსის ნითელი მარცვლები მარჯნის მძივებით ღუღუნენ გვირგვინებზე. კარადიდან სანთლები გამოვიღე და ჩანთაში ჩავიწყვე.

მივესალმე. — გაგიმარჯოს, შვილო, — მიპასუხა და გაიღიმა. შენიანები მოინახულე, არა? თავი დაუქნიე.

— ასეა, გენაცვალე, სიყვარულის წინაშე დრო უძღურია. იმქვეყნად წასული ზოგიერთი ახლობელი ადამიანი ისეთ მოგონებებს გვიტოვებს, რომ აქ დარჩენილები მთელი სიცოცხლე ვუფრთხილდებით, — ამოიხრბა და ისევ საფლავს გაუშტერა თვალი.

ავტორის სახელი და გვარი ნუ დაგაბნევთ — ქართველია. საქართველოში დაიბადა და გაიზარდა. ოღონდ ისე მოხდა, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება უცხოეთში დაიწყო. ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს. ჰყავს მეუღლე და ვაჟი — შვიდი წლის ბენედიქტე. ლიტერატურასთან ბავშვობის ასაკიდან არაფერი აკავშირებდა უსაზღვრო სიყვარულის გარდა. დღემდე კითხვლობს თითქმის ყველა ენაზე და იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც შეუძლიათ დედანში თანაბარი წარმატებით ნაიკითხონ შექსპირი, გოეთე, ბუნინი, შიმბორსკა და ლიოსა.

კატია ვოლტერსი

იერიქონის პარდი

(ფრაგმენტი რომანიდან)



ქვსმეტე საუკუნიდან მოყოლებული, ყოველი საშობაო წირვისას იმღერებოდა ჩვენთან. ბებია სამი წლის წინ გარდაიცვალა. მას შემდეგ სულ მარტოდმარტო ვიჯექი ილექსის რტოებით მორთულ ჩვენს საგვარეულო მერხთან.

წესი იყო, წირვის დასრულების შემდეგ პირველს უნდა დამეტოვებინა ეკლესია. პატარაობისას უკან ვრჩებოდი და დარცხვენით დედის კალთას ვეფარებოდი, თანასოფლელების ყურადღება თავიდან რომ ამეცილებინა.

შინ მისულმა ბუხარში ცეცხლი გავაჩაღე და შემცივნილი ახლოს მივუჯექი გასათბობად. დადლილობისა და სითბოსგან მოშველებულს მალე ჩამეძინა. ზარის ხმამ გამომავლივია. ჯერ ეკლესიის ზარი მეგონა. გვიან მივხვდი, კარზე რეკავდნენ.

— დამდეგ შობას გილოცავთ, მის დრამონდ-დრაქს! — ამოიჟღერებოდა და მენამული სატინის ბაფთით შეკრული პატარა კოლოფი მომანოდა, — მე ლილი-ენი ვარ, ლილი-ენ გრეგორი. ამ სოფელში ვცხოვრობ, — გამიღიმა, — ეკლესიაში ვერ მოვახერხებ ამის გადმოცემა და შინ მოგიტანეთ.

კოლოფი გაოცებულმა გამოვართვი. — ახლა კი უნდა გავიქცე, მის დრა-

მონდ-დრაქს. ალაყაფის კართან დედა მელოდება!

— გმადლობ, ლილი-ენ! ბედნიერ შობას გისურვებ!

გოგონამ თავი დამიკრა და გაიქცა. საჩუქარი, წესით, შობა დღით უნდა გამეხსნა, მაგრამ ცნობისწადილმა მძლია და შინ შებრუნებულმა შეკრულას ფრთხილად მოვხსენი ბაფთა.

„Carid!“ — ელის ხმა იყო! — სავარძელში მოკალათდი და კარგად დამიგდე ყური... — გულმა გამალებით დამიწყვიტა.

— „Marley's Ghost“ — მერე ამოიხუნთქა და განაგრძო: „Marley was dead: to begin with. There is no doubt whatever about that. The register of his burial was signed by a clergyman, the clerk, the undertaker, and the chief mourner.“

ველარ გავუძელი საყოველთაო ჟრია-მულსა და მხიარულებას, უჩუმრად გავიხურე სამზარეულოდან პირდაპირ უკანა ეზოში გამავალი კარი და კედელს მივეყრდენი.

— შობას გილოცავ! — ჩემ წინ სტივი იდგა და გლინტვეინით სავსე ფინჯნები ეჭირა ხელში. ერთი უსიტყვოდ გამომინოდა.

დაუფიქრებლად დაუქნიე თავი და შემცბარმა მერედა ვკითხე, ვის გულისხმობ-მეთქი?

სტივიმ ერთდროულად საყვედურითა და თანაგრძობით სავსე თვალებით გადმოხედა.

— ჰო, ძნელია, — უფრო ჩემთვის ჩავილაპარაკე და თითქოს ცოტა მომეშვა გულზე.

— ძნელი რომ არ იყოს, აქ არ ვიდგებოდი. რას აპირებ?

— დიდხანს ვეღარ დამალავ, ელი! ჩემგან ვერავინ შეიტყობს, მაგრამ...

— ამ ხალხს რა ვუთხრა, — სახლისკენ მივაბრუნე თავი, — ან დანარჩენებს...

— შენს წილ სამარეს ვერავინ ამოავსებს. არა მგონია, შენ ხალხის გეშინოდეს, შენ სხვა რამე უფრო გაშინებს...

— არაფრისაც არ მეშინია, — მივახალა.

— წარმოსახვითი სამყაროს შექმნა ჩემი ხელობაა, ელი! როლი, რომელსაც შენ თამაშობ, ჩემი გამოგონილია, არ დაგავინწყდეს!

— კარგად არც ვიცნობ, — დავიწყე ყოყმანით, ეს სიყვარული ილუზია რომ აღმოჩნდეს?

— გითხარი, გეშინია-მეთქი. ცუდი ინვესტიციის გეშინია, ძამიკო! — ირონიულად ჩაიცინა სტივი.

ცერად გავხედე. თვითონ შეგნებულად აღარ შემომხედა.

— მე არაფერი შემშლია, ელი, — ფინჯანი გამოცალა, თითქოს ყელში მობჯენილი ტკივილის ჩაბრუნებას ცდილობდა და ხელის ზურგით შეიმშრალა პირი, — და, მიუხედავად ამისა, მაინც დავკარგე! განსხვავება იცი რაშია, მე ქრისტიანი უფალმა წამართვა. ვიცოდი, ველარაფერს შევცვლიდი და ბედს შევურიგდი.

— ელი, სად ხარ? — კარები გამოაღო მირამ, — პუდინგი ცივდება!

სოლენე ღრამონდ ღრამსი:

მარტი მიიწურა, სცენარი კი, რომელიც მე და ელიმ ნოემბრის ერთ საღამოს დავეწერეთ, არ შეცვლილა. მანქანას მისი სახლიდან რამდენიმე ქუჩის მოშორებით ვტოვებ, თავდახრილი მივუყვები აღმართს. ფიქრი იყინება და გონება ჯიუტად ითვისის დრო-ჟამით გასიპულ ქვაფენილზე გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს.

ერთმანეთს ძირითადად საღამოობით ვხვდებით, კარგად რომ შებინდებულა. სახლი გამოჩნდება თუ არა, ყურადღებით ვიხედები აქეთ-იქით, იქაურობას ვზევრავ. ყოველთვის მახსოვს, რომ მთავარ შესასვლელს უნდა ვერიდო, შეიძლება ვინმე ცნობისმოყვარე უთვალთვალებდეს, და უკანა კარზე ვაკაკუნებ.

— „მისის ედუარდს, სხვას ხომ არავის დაურეკავს?“ — ვეკითხები. ის კი საყვედურნარევი ხმით მპასუხობს: „ყველაფერი მოგახსენეთ, ლედი დრამონდ-დრაქს! დარწმუნებული ვარ, არავინ და არაფერი გამომჩენია!“

— „მისის ედუარდს, სხვას ხომ არავის დაურეკავს?“ — ვეკითხები. ის კი საყვედურნარევი ხმით მპასუხობს: „ყველაფერი მოგახსენეთ, ლედი დრამონდ-დრაქს! დარწმუნებული ვარ, არავინ და არაფერი გამომჩენია!“

ვაჟა ხორნაული

არცა მზეს არცა მთვარესა —
ქალი ქალს უნდა ჰგავდესო
ერთ წყაროს ენაფებოდეს
ერთი ბილიკი სნამდესო
სიმღერას გილამაზებდეს
გულის გულიდან ნადენსო
ხანდახან მოგიმრავლებდეს
იისთვალეა დარდებსო
ისმოდეს
ალარც ისმოდეს
ჩანდეს და
არცა ჩანდესო
მოვიდეს როცა არ ელი
მოიმძღვარებდეს ნათელსო.

არცა მზეს არცა მთვარესა
არცა სამოთხის დარებსა
ქალი ქალს უნდა ჰგავდესო.

სიკვდილ-სიცოცხლე-სიყვარულ
სამივე ერთფერად ძნელია
სამივეს ხმალი ნაკურთხი
უცვეთელი და მჭრელია
სამივეს გამოხედვაში
ღმერთის სიტბო და ფერია
სამივე მარადიულად
ახალია და ძველია
ვერ წარმოიდგენ ცალ-ცალკე
ერთ სადიდებელს მღერია.

სამივეს შევეწირები
სამივეს ჯვარი სწერია.

პედნიერება

ქალი თუ შემოგეჩვია
როგორც ფუტკარი მინდორსა
მაშინ შეიგრძნობ სამოთხის
სურნელებსა და სიტკბოსა
აქამდე ვინაც იყავი
ის აღარა ხარ თითქოსა.

ბილიკებს სიხარულისას
სიმღერას უძღვნი თითოსა
არ გაგიმეტებს იღბალი
არ შემოგაკლებს სიტბოსა
გიშერმადინებს იმედი
ცისაკენ გულის მიმყოლსა, —
ქალი თუ შემოგეჩვია
როგორც ფუტკარი მინდორსა.

კელაპტარი და ხანჯალი

მაგრამ მონები დარჩნენ მონებად
და იტანჯება მწვანე პლანეტა
ძველებურია შენი ცხოვრება —
შიგნიდან ცეცხლი ქარი გარედან.

ცისკენ მავალი რატომ იჩქარებ
(მშვენიერება ახალ მხარეთა)
ესაა შენი გზა და იღბალი —
შიგნიდან დარდი ელვა გარედან.

როცა სიყვარულს ტყვიას ესვრიან
და გამკრთალეა გტკივა მზვარეთა
შენი მფარველი მაშინ ლექსია —
გინდა შიგნიდან გინდა გარედან.



ზეცასთან ერთად

დარიანია დრო და ხედები
სასწაულობენ გზა და სიზმრები
და მონატრების ორნამენტებით
გეძახის ხატი თავდავიწყების.

რა სათიბები და რა ცვლები
(ღრუბელი მზისკენ შემოტრიალდა)
ბედნიერება საწინახელების
და მოლოდინი მელოდიათა.

კვლავ გაახარეს ბაღში ხელებმა
ხეები ოქროს ფესვიანები
სიკვდილ-სიცოცხლის საკვირველებას
ზეცასთან ერთად ეზიარები.

თვალს უხარია დრო და ხედები
სამოთხისაა გზა და სიზმრები
და მონატრების ორნამენტებით
გეძახის ხატი თავდავიწყების.

ალიონის იალკიანი

ხან ზღვისაა და ხან წყაროსია
ზარი რომელიც გულში ხმანობს
ლექსს სიყვარულის ავგაროზიანს
შენ გისახსოვრებ გზაო მზიანო.

ემმა ვერასდროს იანგელოზებს
ვერ იმღერებენ მანეკენები
ხან ბილილების კრიალს მდელიზე
ხან ვარსკვლავების ხმას ვეფერები.

რომ არ იკითხო სად რა არისო
და სიხარულის თუ გსურს შრიალი
უნდა გახსოვდეს სამარადისოდ
სითეთრე ოქროს ჩუქურთმიანი.

რა სიმაღლე და რა ტაროსია
(სინანულს ხედავ გულქვა მტრებისას)
ლექსს სიყვარულის ავგაროზიანს
სიტბო იფარავს უკვდავებისა.

ხმა და სიჩუმე — ციდან მოსული
არის სიცოცხლე ჩვენი გულების
შენთვის ლამაზი გზების მოსურნეს
სამოთხის წყალთან მიდგას სურები.

მადლობა უფალს შენ რომ არსებობ
ნაცნობ ნათელში უცხო ფერითა
ზამთრის სიცხვე მოჩანს გარშემო
და გაზაფხული ისმის შენიდან.

მაგიდაზე დანა და სანთელი
ფუტკარი —
მათ შორის ანრილებული.

კაშხე ისე მოიხვია
თითქოს ამბობს
ცხოვრება მახრჩობსო.

ალარ იქნება ცათამბჯენი
ვისკი და როკენროლი
იქნება ქოხი
წყარო და სალამური.

მონყენილობიდან
სიყვარულმა გამომიყვანა
როგორც მზემ დედამინა ლამიდან.

ნახატზე ცა არა ჩანს
მაგრამ მისი სიჩუმე
და ფერი იგრძნობა.

ვერლიბრისტები —
პოეზიის წვიმაში
გამოვლილი პროზაიკოსები.

დიდი ხნის წინათ
დაკლული ხარის
ჩრდილი
დაობლებულ ურემთან.

დედის გული ჰქონია ზამთარს —
თოვლით დაგიტბუნა
სახლი და ვენახი...

საკიდზე ერთურთის მოშორებით
ნაბდის ქუდი გამოხუნებული
და ახალი მზინავი ცილინდრი.

დედა სადაცაა
იქ ყველაფერია
სიცხვის გარდა.

ტაშს ისე უკრავს
თითქოს ხელებს შორის
პეპელა ეგულება
და არ უნდა
რომ ფრთები ატკინოს.

გაზაფხული —
ერთადერთი და მარადიული
რეკლამა გაზაფხულის.

ლილი —
ქმრის დაბინდული ხალათიდან
სევდიანი სინაზით ახსნილი
და კალთაში იმ ლილის მომლოდინე
ხალათი შეილისა...

ხიდანმდე ბავშვის და კაცის კვალი
ხიღზე მხოლოდ კაცისა
და მერე ისევ
ერთმანეთში ლამაზად არეული
ნაფეხურები დიდი და პატარა.

ეგ ელვა არ იყო —
ღრუბლები გაზაფხულთან
შეხვედრას გილოცავენ.

და გტკივა მოყვასი რომელიც
გახარებული
მხოლოდ სიზმარშია —
ლარნაკის ყვავილივით.

პატრონი შორსაა
და შემოდგომის ბილიკებით
მოიწყინეს გიტარის სიმებმა.

მეუღლის სკამი ცალი ხელით
კუთხეში უხეშად შეაჩოჩა
ადრე ორი ხელით იღებდა
და ნაზად
უხმაურად დგამდა ხალიჩაზე.

მონატრების
სიტყვები ხარობენ
და იტანჯებიან
როგორც ყვავილები
ლობის ღრიჭობში.

მისი ჩრდილი
შენს ჩრდილში შემოვიდა
მზის გასახარებლად.

ხან ბნელში ატარეს
ხან გეზი შეუცვალეს
და მაინც მიუვიდა ზღვას
და შორეული მწვერვალების
სიჩუმე უსახსოვრა

ყვავილის გაშლის ხმას
უფრო გაიგონებ
ვიდრე დედის ნაბიჯებისას
აკვნის სიახლოვეს.

რამდენი რამე გავიწყდება
რამდენი რამე გახსენდება
ნაქცეული ხე როცა ყვავილობს.

უმზეო სიტბოთი მოთენთილი
სიტყვაგაუმტარი გულები.

მაგრამ როცა შენი ხმა ახლოვდება
გულიდან გამოსვლას არ აცლიან
ერთმანეთს სიტყვები...

წელში მოხრილი ბებერი ხე
ცარიელი ბუდით —
თითქოს მონყალეებს მოელის.

ბაღმა მოიწყინა დაღონდა წყალი
ალიონს ვეკითხები(და მერე საღამოს)
სადაა ან როგორ არიო...

მაგრამ ღმერთის სიტბო
სხვაგვარად ლამაზია
ჩრდილისა და სინათლის
საზღვარზე...

დედობის ასაკი რომ ჩაივლის
და ქალი
გაკრეფილ ბალს დაემსგავსება
მაშინ გამოჩნდება ვინაა მებაღე.

ძილის წინ იტყოდა დედა:
„ღმერთო უშველე ჩემ შვილებსა“
მაშინაც ესა თქვა
სამარეში როცა ჩაასვენეს.

გაჭირვებული სხვაგვარად აკაკუნებს —
თითქოს სახურავზე დაცვივდა
წვეთები შემოდგომის წვიმისა.

ნასკვების ნაცვლად
ყვავილები ასხია
ქალის ბადეს...

სიყვარულის ხმა გაიშვიათდა
აქა-იქ ზანზალაკი
წკრიალებს მონონების.

შეფიქრიანდა მოიწყინა
დაღამდა მონიტორი
მაუსი დაემსგავსა სამარეს ჩიტისას.

ოდესლაც კალიები
არა ხტუნაობდნენ
მაგრამ როცა სიყვარული
მათთანაც მივიდა...

სახეზე ხელები აიფარა —
ესაა მისი გალავანი
და შენი სირცხვილი.

ვით სხივმა ყვავილები
თითმა ტელეფონის
ციფრები მოიარა.

არ დაგავიწყდება ღრუბელი
რომელსაც შენი ბალი მოუწყავს
და სახლში სიტბო შემოუტანია
ჩრდილის კალათებით.



ამ საღამოს აკაკი წერეთელიც სტუმრობდა...

ისტორიიდან

როგორც ჩანს, მაჩაბლის ქუჩა თავიდანვე იზიდავდა მწერალ საზოგადოებას. 1900-1903 წლებში აქ ცხოვრობდა რუსი პოეტი ნიკოლაი გუმილიოვი, რომლის პირველი ლექსიც სწორედ თბილისში დაიბეჭდა. გუმილიოვი სამშობლოში დაბრუნდა, იმავე ქუჩაზე კი, 13 ნომერში, 1903 წელს ცნობილი ქართველი მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა ვერცხლის ქორწილის აღსანიშნად სახლის მშენებლობა წამოიწყო. არქიტექტორად ბერლინელი კარლ ცაარი მოიწვია, რომელთან ერთად ცაარი თბილისელი არქიტექტორებიც მუშაობდნენ — ალექსანდრე ოზეროვი და კორნელი ტატიშჩევი. სახლის ინტერიერი თბილისელ ოსტატს ილია მამაცაშვილს მიაწოდ. მშენებლობა 1905 წელს დასრულდა და 3 მაისს დიდი ზარ-ზეიმით იკურთხა. ამ საღამოს აკაკი წერეთელიც სტუმრობდა. მართალია, სახლს საცხოვრებელი დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ იმთავითვე ამკარა იყო, ის მალე გადაიქცეოდა საზოგადოების შეკრებისა და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი დებატებისა თუ შეხვედრების გამოთქმის საუკეთესო ადგილად. ლიტერატურულმა საღამოებმა ამ სასახლეში ტრადიციული სახე მიიღო — აქ სხვადასხვა მწერლის ნაწარმოებებს კითხულობდნენ და ჩამოსულ უცხოელ მწერლებსაც უთმობდნენ ასპარეზს — ასე აღმოჩნდნენ ამ სახლში სერგეი ესენინი, არტურ ლაისტი... ხშირი სტუმრები იყვნენ ილია, აკაკი, ივანე მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, ვალერიან გუნია... ერთხანს აქ „ქართველთა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამაც“ დაიდო ბინა. სახლს ჰქონდა ულამაზესი, იშვიათი ჯიშის ხეებით მდიდარი ბაღი.

1910 წელს, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, დონის როსტოვში დავით სარაჯიშვილმა ნოტარიუსთან ანდერძი შეადგინა, რომლის თანახმადაც, ეს სახლი

ქალაქის თვითმმართველობას უნდა გადასცემოდა სახელოვნებო საქმიანობისთვის. ამის შემდეგ მოვლენები დრამატულად განვითარდა.

1912 წელს, დავით სარაჯიშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე, მისმა ცოლისძმამ ანდერძი დაარღვია და სახლის საჯარო აუქციონზე გაყიდა განიზრახა. ამ ცნობამ ქართული საზოგადოებრიობა ალაშქოთა და დახმარებისთვის კომერსანტსა და ქველმოქმედ აკაკი ხომტარიას მიმართა. გასაბჭოებამდე სასახლე ინარჩუნებდა პირვანდელ დანიშნულებას, თუმცა მას შემდეგ, რაც ხომტარიამ დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა, მაჩაბლის 13-ის მთელი ქონება რევეკომს გადაეცა. 1921 წელს საბჭოთა ხელმძღვანელობას მწერალთა ჯგუფმა თხოვნით მიმართა, რომ შენობა „ხელოვანთა კავშირს“ გადასცემოდა. რევეკომმა თხოვნა დააკმაყოფილა და სულ მალე ყველაზე თვითმყოფად ქართულ სახლში კომუნისტური ეპოქის აღზევებაც დაიწყო. „ხელოვანთა კავშირი“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მწერალთა კავშირმა შეცვალა. 1927 წელს ფრანგი მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ანრი ბარბიუსის საპატივსაცემოდ სახელი შეხვედრა შედგა. იმავე წელს ქართველმა მწერლებმა ვლადიმერ მაიაკოვსკის უმასპინძლეს, 1928 წელს გარკვეული ხნით მაქსიმ გორკი ამ სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა. ამის შემდეგ კი მაჩაბლის 13 დაბეზღების, ყველაზე გაუგონარი ბრალდებებისა და ბევრი ქართველი მწერლის უბედურების სათავედ იქცა. მწერალთა კავშირის სხდომებზე ილანძვებოდა და ხალხის მტრად ცხადდებოდა ყველა, ვინც ხოტბას არ ასხამდა საბჭოთა იდეოლოგიას. ხალხის მტრებს კი მაშინდელი მთავრობა სასტიკად, დახვრეტით უსწორდებოდა. 1937 წლის 22 ივლისს დავით სარაჯიშვილის სასახლეში ყველაზე შემზარავი ფაქტი მოხდა — ჩეკაში დაკ-



დიმიტრი ერმაკოვის ფოტო. 1905 წელი.

მაჩაბლის 13. ისტორია ბრძელდება

ითხვამ დაბარებულმა პაოლო იაშვილმა თავი სწორედ ამ შენობაში მოიკლა. კავშირის სხდომამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც პოეტის საქციელი ანტისაბჭოთა პროვოკაციად შერაცხეს. მიხილ ჯავახიშვილი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელმაც პოეტის გამბედაობას მხარი დაუჭირა და შედეგმაც არ დააყოვნა. ისევ ამ კედლებში კავშირის პრეზიდიუმმა კენჭისყრით მიიღო გადაწყვეტილება — „მიხილ ჯავახიშვილი, ჯამბუში და დივერსანტი, განდევნილ იქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურდეს“. ასე გადაიქცა ერთ დროს კულტურულ-საზოგადოებრივი და ეროვნული ღირებულებების მქონე სასახლე ყველაზე პროგრესული, ინტელექტუალი ქართველი მწერლების საბჭოთა ხელისუფლების „განკითხვის“ ასპარეზად. მაჩაბლის 13-ში სულ სხვა, მძიმე აურამ დაისადგურა.

დღეს

„მწერალთა კავშირის“ წევრებთან შეთანხმება შედგა. ბოლოს და ბოლოს, გაირკვა, რომ ეს ნაგებობა მხოლოდ ამ გაერთიანებაში შემავალი მწერლების კუთვნილება არ იყო და უკეთესი იქნებოდა, აქ ყველა პროზაიკოსისთვის, პოეტისთვის, მთარგმნელისთვის, კრიტიკოსისა თუ პუბლიცისტისთვის გაღებულიყო კარი.

მაჩაბლის 13-ში მდებარე შენობა თავისი უნიკალური არქიტექტურული მნიშვნელობით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. მასზე ზრუნავს თბილისის მერია და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. მთელი ქონება — დავით სარაჯიშვილისეული სახლი თავისი ბალითა და ინვენტარით — საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — მწერალთა სახლს გადაეცა.

სანამ მწერალთა სახლი ფუნქციონირებას დაიწყებს, ჯერ კიდევ დიდი გზაა. ჯერჯერობით აქ მხოლოდ ხელოსნებსა და 3-4 ადამიანს თუ მოკრავთ თვალებს. მათ შორისაა დირექტორიც, რომელსაც ძალიან ბევრი რამ ევალება.

დირექტორ-მინეჯერი

მწერალთა სახლის საქმიანობას წარმართავს დირექტორ-მენეჯერი, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს საშტატო განრიგს და სახელფასო ფონდს, წარმართავს და ორგანიზებას უწევს მწერალთა სახლის საორგანიზაციო-ადმინისტრაციულ საქმიანობას და პერსონალურად აგებს პასუხს ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე. მინდობილობის გარეშე მწერალთა სახლს თავდაწარმადე ყველა ინსტაციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს. სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით განაგებს და განკარგავს მწერალთა სახლის ქონებასა და სასრებს. მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა მწერალთა სახლის საკუთრებაში არსებულ ქონებასა და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე. ის აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს მწერალთა სახლის თანამშრომლებსა და, საჭიროებისამებრ, დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან. ის განსაზღვრავს თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურების ოდენობას. კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ამტკიცებს მწერალთა სახლის სტრუქტურას, ბიუჯეტსა და შინაგანაწესს. ის ირჩევს საქმიანობის ძირითად მიმართულებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველაფერი ეს ერთი ადამიანის უფლება-მოვალეობებია და თუ იმასაც დავძენთ, რომ ის ქალია, ამკარაა, მას წინ რთული, დამლელი, თუმცა ამასთან, საინტერესო გზა ელის. ეს დიდი პასუხისმგებლობა თავის თავზე ნატა ლომოური აიღო.

ნატა ლომოური

ლიტერატურულ წრეებში ბევრი კითხვა გაჩნდა — ვინ არის ნატა ლომოური,

საიდან აღმოჩნდა მწერალთა გარემოცვაში, რას საქმიანობდა მანამდე... საზოგადოებას არ უყვარს პასუხგაუცემელი კითხვები და ამიტომაც, გააძაგნებდით, უფრო ახლოს და კარგად გაგაცნოთ მწერალთა სახლის დირექტორი, რომელზეც მხოლოდ ის ვიცოდით, რომ ქართველი კლასიკოსი მწერლის ნიკო ლომოურის შვილიშვილი და ცნობილი ისტორიკოსის ნოდარ ლომოურის შვილია.

ნატა ლომოური 1975 წელს თბილისში დაიბადა. 1981-1990 წლებში თბილისის მე-6 გერმანულ გიმნაზიაში სწავლობდა, შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა და ნორტვესტის საშუალო სკოლა დაამთავრა. სწავლა იტალიაში, ბოლონის და რომის უნივერსიტეტებში პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტზე განაგრძო; დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტი, ასპირანტურაც იქვე გაიარა და 2005 წელს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 2002-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში (გაერო, USAID, ევროპის საბჭო) თბილისში და სტრასბურგში. 2010 წელს კი საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში დაიწყო მუშაობა საზღვარგარეთის პროექტების კურატორად. 2011 წლიდან მწერალთა სახლის დირექტორ-მენეჯერია.



ასეთი მდიდარი შრომითი ბიოგრაფიის ადამიანი მართლაც უცნაურად მოხვდა მწერალთა შორის და ამას თავადაც აღნიშნავს:

„მწერალთა დიდ ოჯახში ახალი და უცნობი ვარ. ვილაცისთვის მართლაც უცნაურია, როგორ აღმოვჩნდი აქ, როცა სამუშაო გამოცდილება სულ სხვა სფეროში მქონდა. საერთაშორისო ურთიერთობების განხრით მივდიოდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლიტერატურის მუზეუმში მოხვდი, რადიკალურად შემიცვალა ინტერესები და პრიორიტეტები. იმხანად ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი ლამაზ ბაქრაძე ეძებდა ადამიანს, ვისაც საერთაშორისო პროექტებისა და დონორებთან ურთიერთობის გამოცდილება ჰქონდა. არჩევანი ჩემზე შეჩერდა. ვერც კი წარმოვიდგინდი, ლიტერატურის მუზეუმის სახით ამხელა სიმდიდრის პატრონები თუ ვიყავით, თუმცა მუზეუმის უნიკალური არქივის სავალალო მდგომარეობაც აღმოჩენა იყო და ამ პრობლემებით ხშირად მიწევდა მისვლა კულტურის სამინისტროში. როგორც გაირკვა, პარალელურად, მწერალთა სახლის ახალი კონცეფცია ყალიბდებოდა და მალე ამ სახლის მართვა შემოთავაზეს.“

მართალია, ასე ერთი შეხედვით, ნატა მართლაც შორს იყო ამ სფეროსგან, მაგრამ მისი გარემოცვისთვის ლიტერატურა და ხელოვნება არასოდეს ყოფილა უცხო. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვახუშტი კოტეტიშვილთან და ბედნიერია იმით, რომ პოეზიის სიყვარულიც მის სახლში შეიგრძნო. განსაკუთრებული იხსენებს იმ წლებს, ვახუშტი ბორის პასტერნაკს და იოსებ ბროდსკის რომ თარგმნიდა.



ბავშვობაში დიუმას გმირები მოსწონდა. დღეს უყვარს მიხეილ ჯავახიშვილი, თითქმის ყველა და აკაკი მორჩილაძე. უცხოეთში მწერლებთან გამორჩეულად — ბორხესი. ბოლო წარუშლელი შთაბეჭდილება სალმან რუშდის ნიგნების კითხვისას მიიღო. ახლა ნატასთვის თანამედროვე ქართული მწერლების კითხვა საშინაო დავალებაა. არის — «ვცდილობ, სულ უფრო მეტი ვიკითხო და გავაცნო თანამედროვე ქართველ მწერლების შემოქმედებას; დღეს ჩემი ბიუჯეტის დიდი ნაწილი ახალგაზრდა ქართული ნიგნების შესყიდვას ხმარდება».

ბევრ ავტორს პირადად არ შეხვედრია, მაგრამ იმედოვნებს, რომ მათთან ურთიერთობა არ გაუჭირდება. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია — «ძალიან გამიხარდა, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მწერლის აკაკი მორჩილაძის გაცნობის საშუალება რომ მომეცა. აქვე კიდევ რამდენიმე თანამედროვე მწერალი — თამთა მელაშვილი, მაკა მიქელაძე, ზურაბ ლეჟავა, ზაზა ბურჭულაძე — გავიცანი. რაც შეეხება უფროსი თაობის წარმომადგენლებს, მათ შორის მრავლადაა მამას ახლობელი, ვისაც ბევრი ღირებული რამ შეუქმნია და, აქედან გამომდინარე, ის ფასეულობები, რომელიც ძვირფასია ამ თაობისთვის, ჩემთვის არ არის უცხო. ძალიან სათუთად ვეკიდები ყველაფერს, რაც უფროსი თაობის მწერლებისთვის, მნიშვნელოვანია.»

„პრარაბი“ ნატა

მწერალთა სახლი ხარაჩოვებისა. ყველგან სარემონტო მასალებია. ნატაც დადის აქეთ-იქით და მეთვალყურეობას უწევს, რას და როგორ აკეთებენ ხელოსნები. «ცხუმრობ ხოლმე, პრარაბად ვმუშაობ-მეთქი. რეალურად არც ოფისი გვაქვს და სხვა რამისთვისაც ნაკლებად ვიცი. მწერალთა სახლი ახლახან დაფუძნებული ახალი ორგანიზაციაა და ამასთან დაკავშირებით ბევრი ბიუროკრატიული და საქალაქე საქმიანობა მევალება.»

სარემონტო სამუშაოებს მერიის სამსახური აწარმოებს. ამ უზარმაზარ შენობაში მართლაც ბევრია გასაკეთებელი. საკომუნიკაციო ქსელები, გაყვანილობა, მიწები უკვე გამოიცვალა. მუშაობენ ხელოვნებათმცოდნეები, რომ არ დაიკარგოს ის მთავარი ხიბლი, რაც სარაჯიშვილისეულ სასახლეს ჰქონდა: მოდერნიზაციის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ფასადზე გამოყენებული ტალღოვანი ფრონტონები, ნაძერწი ნიჟარები და მცენარეული ორნამენტი, ქალის თავის გამოსახულებიანი კონსოლები. ყველაფერ ამას სპეციალისტების გამოცდილი ჯგუფი ხელმძღვანელობს, სახლის დიზაინერობა კი

ნატას ძმამ, გუგა კოტეტიშვილმა იტერითა და ამიტომ ამ მხრივ მშვიდაა. სარემონტო სამუშაოებისას ერმაკოვის იმ ფოტოებით ხელმძღვანელობენ, რომელიც 1905 წლით თარიღდება და ახალაშენებული სასახლის პირვანდელ იერს ასახავს. სამუშაო ჯგუფს კიდევ ერთი საზრუნავი აქვს — ბალი. ისტორიული ცნობილია, რომ სახლს ულამაზესი ეზო ჰქონდა. მოლსა და ხეებს შორის საგანგებოდ დაკვალული ბილიკებითა და აუზით. გეგმით დაგეგმული ბაღიც მაქსიმალურად მიუახლოვდება ამ პირვანდელ სურათს.

მწერალთა სახლის დაგეგმვა

მანიაქის 13-ში მდებარე სარაჯიშვილისეული სასახლის ფართი უკვე განანიღებულა. სარდაფში საგამოფენო დარბაზი, ნიგნების საცავი, ნიგნის მაღაზია და კაფე იქნება. პირველი სართული მთავარ დარბაზებს დაეთმობა, სადაც სხვადასხვა ტიპის ღონისძიება და შეხვედრა გაიმართება — ეს იქნება საავტორო საღამოები, წიგნის პრეზენტაციები, მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებული სემინარები თუ კონფერენციები. აქვე განთავსდება ბიბლიოთეკაც. მეორე სართული მთლიანად საოფისე სივრცედ გარდაიქმნება. მესამე სართულზე კი, ახუ მანსარაში, სასტუმრო გაკეთდება, სადაც უცხოელი სტუმრებისთვის ნოთახი მოეწყობა. ეს იქნება მაღალი დონის სასტუმრო, რომელიც არ იქნება ძვირი. ვეცდებით, მხოლოდ ის თანხა ღირდეს, რაც მის შენახვას დასჭირდება. ეს ვეროპაში აპრობირებული მეთოდია. ჩამოდის უცხოელი მწერალი, მთარგმნელი, გამომცემელი, რომელიც აქ ცხოვრობს, აქვე მუშაობს და აქვე მართავს შეხვედრებსა თუ სემინარებს, — აღნიშნავს ნატა.

სამომავლო გეგმები

«ამ სახლს განსაკუთრებული ისტორია აქვს — არაჩვეულებრივიც და, ამავდროულად, უმძიმესიც. ვფიქრობ, ერთი ოთახი მუდმივოქმედ გამოფენა-მუზეუმად უნდა ვაქციოთ. იუნესკოში უკვე შევიტანე ამ თემაზე პროექტი, თუმცა ჯერ არ ვიცი, დაფინანსებენ თუ არა. მანიაქის 13-ის ისტორია ერთგვარად რეპრეზირებული მწერლების ისტორიაა, რომელიც ყველაზე უნდა იცოდეს, რადგან ამ ისტორიის ფურცლებმა ის შეცდომებიც შემოინახა, რომელიც აღარასდროს უნდა დაუშვათ. ვიმედოვნებ, რომ სამოქალაქო განათლება მწერალთა სახლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება გახდება. სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები ხშირად ივლიან აქ და განსხვავებულ ცოდნასა და ისტორიულ გაკვეთილებს ეზიარებიან,» — აღნიშნავს ნატა, — «მწერალთა სახლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობა მს-



გაცხადებს პროფილის საერთაშორისო დანესებულებთან აქტიური კონტაქტის დამყარება იქნება. მართალია, სრულყოფილი ფუნქციონირება ჯერ არ დაგეგმილია, მაგრამ ყოველდღიურად ვცდილობ ახალი კონტაქტების დამყარებას იმისთვის, რომ სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურული და სახელოვნებო წრეები ერთობლივი პროექტების განხორციელებით დავაინტერესო. დამიჯერეთ, საქართველოში ყველა სიამოვნებით ჩამოვა და შეხვედრა ქართველ მკითხველს. მეორეს მხრივ, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა დაეთმობა ქართული ლიტერატურის თარგმანს, რითაც მსოფლიო სულ სხვა კუთხით გაიცივოს საქართველოს. რასაკვირველია, ქართული ლიტერატურა აქამდეც ითარგმნებოდა, მაგრამ დღეს სახელმწიფო ძალიან დიდ ძალისხმევას იჩენს, რათა ეს საქმიანობა ბევრად უფრო მასშტაბური გახადოს. როგორც იცით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ 2015 წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მასპინძელი ქვეყანა იყოს და თუ ეს მოხერხდება, ბუნებრივია, მწერალთა სახლს მისი მსოფლიო მნიშვნელოვანი ღონისძიების ხარისხიანად მომზადებაში მიიღებს მონაწილეობას.»

ცალკე საუბრის თემაა ბიბლიოთეკა. მწერალთა სახლში ბევრ უნიკალურ

ფიქრობს, რომ ღონისძიებათა კალენდარს უმტკივნეულოდ შექმნის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ერთად.

დაუპინძარი და ამოუცნობი აზრა

როგორც ამბობენ, ის, ვინც სარაჯიშვილისეულ სასახლეში ერთხელ მაინც შეადგამს ფეხს, ვერასდროს დაივიწყებს მას. ამ შენობის განსაკუთრებული აურა აუცილებლად იმოქმედებს მწერალთა სახლში მისულ ნებისმიერ სტუმარზე. სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, ბევრი შინ სპეციალურად ამ ქუჩით ბრუნდებოდა, მაჩაბლის 13-ისთვის რომ შეეველო თვალი და იმის იმედად, რომ აქ ყველაზე ცნობილ ქართველებს ნახავდა. მწერალთა სახლში ლიტერატურით დაინტერესებული და ისტორიაზე შეყვარებული ადამიანები ბევრს აღმოაჩენენ ისეთს, რაზეც მანამდე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. ამ სახლს მართლაც ძლიერი ენერჯეტიკა აქვს, ოღონდ, ზუსტად ვერ ხვდები — კარგი თუ ცუდი, ხანდახან დამთრგუნველიცაა. მოკლედ, ყველაფერი ეს ცოტა მისტიკურია. თუმცა იმ ფაქტს, რომ აქ სულ მალე ახალი კულტურული კერა აღორძინდება, მისტიკასთან არანაირი კავშირი არა აქვს. ეს XX საუკუნის დასაწყისის გამორჩეული და საყვარელი ადგილი იყო და ისტორია გრძელდება...



დაბოლოს

ისევ ისტორიიდან: «დავით სარაჯიშვილის სახლი ნამდვილი სალონი იყო, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ალექსანდრე ჭავჭავაძის და მანანა ორბელიანის სალონის გაგრძელებად», — აღნიშნავდა ექვთიმე თაყაიშვილი, — «მის სახლს „სარაჯიშვილის ნომერს“ და „ევროპასაც“ ეძახდნენ. სახლის პირველ სართულზე განთავსებული იყო მაღაზიები, მეორეზე კი საცხოვრებელი ბინები და სასტუმრო.» სასახლის დარბაზები ყურადღებას იქცევდა იმეფით ბუნებრივ ბრინჯაოს ქანდაკებებით, ფერწერული ტილოებით, სარკეებით, ავეჯითა და სხვა ძვირფასი ნივთებით. ამ სახლში დავით სარაჯიშვილი ხშირად მართავდა მუსიკალურ საღამოებს და მომღერლებს, მწერლებს, მხატვრებს ინივეცდა. პირველად ამ სახლში მოეწყო ქართველი ფერმწერის, გიგო გაბაშვილის გამოფენა. «ამას წინათ სასახლის ქუჩაზედ, სარაჯიშვილების სახლში გამოფენა გამართა თავისი ნახატებისა ახალგაზრდა მხატვარმა... „მოსარეცხე მდინარესთან“, „ორთაჭალა“, „დეუქანთან“... ზოგიერთი სურათის ხატვისას ისე აუჩქარებია საგამოფენოდ მოსასწრებად, რომ დაუმთავრებელი და შალამინ-გაუკერელი გამოუყენია,» — წერდა გაზეთი „ივერია“.

მწერლები და მწერალთა სახლი

ნატა ლომოური არ არის მწერალთა სახლის მთავარი წარმმართველი. მას სამეთვალყურეო საბჭო ჰყავს, რომელიც შემოქმედებით საქმიანობას უხელმძღვანელებს. «მხოლოდ მაღლობელი ვიქნები, თუ საბჭოს წევრები აქტიურად ჩაერთვებიან საქმეში. თუ ისინი მრჩეველთა ფუნქციას თავის თავზე აიღებენ, შედეგით არ დააყოვნებს», — აღნიშნავს ნატა.

სამეთვალყურეო საბჭოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აკომპლექტებს. ის 11 წევრისგან შედგება და არიან როგორც ახალგაზრდა, ისე — უფროსი თაობის წარმომადგენლებიც, მათ შორის, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაცყალა გონაშვილი. ნატა ლომოური მხარდაჭერას ყველასგან გრძნობს და ამით ბედნიერია. იმასაც კარგად ხვდება, როგორ უხარიათ, ამ შენობის პროფილი რომ არ შეცვლილა. მწერალთა სახლის კარი ყველასთვის გაიღება, ვინც რაიმე ღირებულსა და ხარისხიანს შექმნის.

დასაწყისი №60-72

და,
 მინად როგორ ძალიან დაცემულები, თვალთა-სინათლენარტემულიც კი მათ-გან, ერთი, როგორ ძალიან მაინც, აღდგინენ, მართლიად, რადგან თვით ქრისტემ თავისი ჯვარცმით გადაიხადა ბევრად კი არა მთლად-განუზომლად მეტი ვიდრე ჩვენ-ჩვე-ამაყებს ვალი გვექონდა როგორც ამას ოქროპირი გვამ-ცნებს რომ ქრისტეტი ჩვენ შეგვიძლია მეტიც კი მივიღოთ ვიდრე ადამის და-ცემით დაეკარგეთ მოწინებამ თვით ყველაზე დიდი შესასაყვარელობისამიერი, და, ამაზე მეტი?

ვრცელი ამაზე?

და მაგრამ მაინც როგორ გვიწყობს ხელს და გულს და გონებას გვინათებს ჩვენ-უღირსებს რომ დავიბრუნოთ დაკარგული მალალსულოვნება, სულიერება ანუ სიცოცხლემივე მივიღოთ სამოთხე, ზიარება უფლის სისხლისა და ხორცთან - ვაზის ნაყურთან და რამალალ იფქლთან, და თუმცა ნოესობისას იქამდე ვაზი არ იყო მაგრამ კი-იყო მკვიდრ-დიდებოთი და შემძლე თთი ღვთის ბოძებული მსახოებლობა და ნოე, ვისაც განეღო მაგრამ მხოლოდ ძალიან ღრჭოდ იმათავისი კიდობანისა მყარად როგორ მინამდე რაძაან დაგმანული კიდობანისა ურთხელისვ კარის ნოე იცდოდა, ლმობიერისაგან კარის გაღებას უფრო და უფრო მაგრამ ძალიან დუმდა, ღმერთი და ნოე, ვისიც ეს ნელინადა და ათი დღე კიდობანისა მეტი იყო ვიდრე სხვათათვის თავგანსაღწევი ის ორმოცი ნელი რადგან მაშინ ხომ თვალს ნყალს მაინც აღუვიებდენ მინდვრებით, ვრცელით, შროშანებით, რამე, და ახლაც ნოე, შეღონებული და გადაქანცული მაგრამ აღსავსე იმძალით რომ ძალიან უნდა გასულიყო მყარად დასაყრდენ მინისაკენ, გარეთ, და ნოე ზღურბლის ღრიჭოსთან ნელა მივიდა, სუნთქვაშეკრული, მერე კი ფილტვები მძლავრად დაიცალა როგორმეღელი ჰაერისაგან, გამოიდევნა ძველი ჰაერი და რომ შეისუნთქა ახალი-როგორ, თუნდაც ვინ-რულა ღრიჭოსეული, მერე ძალიან მივიდა შუქთან რომელი შუქიც სწორედ იმა ღრიჭოდან - ვინრო და გრძელი ჭუჭრუტანიდან - გამოდობოდა, და მიაბჯინა, შუბლი, რაღაც ღბილი და თბილი აღმოჩნდა ახლა ეს იყო მყარი და გრილი ურთხელი, და ნოე ძალიან რომ მიეკუნტა შუბლით იმ ღრიჭოს იმედი ჰქონდა რომ შეაღებდა, კარს, ქვეყანისკენ მაგრამ ძალიან ძნელი იყო, კი, იმ კარის განხვნა და ნოე მთელი არსებით-ადამიანურით ებრძოდა ღრიჭოს რომ როგორმე გაეფართოვებინა და ცოტაეგებ პატარათი გამოსდიოდა კიდევაც, ეს, თან რაღაც უცხო და თან მშობლიურ ნყალში იყო თითქოსდა და მართლაც, ნოეს, ნყალი აკლდა? მაგრამ კი, აკლდა, და, თავი როცა გამოიძვრინა ჩვენობისაკენ და დაინახა მზის სინათლე და მერე სხეულის სხვა ბოძებებიც მიაყოლა - მხრები, ხელები, მკერდი და რა ნვალებით, როგორი შევებით იხადებოდა ნოე ღმერთისაკენ იმ ღმერთისაკენ რომელიც მასთან სუმულდამ იყო მაგრამ ახლა კი - ძალიან ძნელად, იხადებოდა კაცი ექვსას ნელს გადაღწეული და, რომ დაიბადა როგორც იქნა მთლად თავიდანვესავით და დამდგარა, ზე, დაეცა მინად ხელგამდობილი განზე ძალიან და როგორ ჰგავდა ნოე ახლა თვით უფრო მეტად მომავალ ჯვარს რომელიც ადრეც ძალიან, იყო და ამ მისთვის უცნაურ-თაყვანისცემით როგორ მადლობას უძღვნოდა, თვით ღმერთს ნოეს სხეული ნოეიანა სულიერით რომელიც ახლა განსაკუთრებით უხვლით, მკერდითა და ორთავე მხარ-და-ხელით, - პირ-ჯვარის ერთგულად შემსრულებელთა - მეშვეობით დაყრდნობოდა მინას-მარჩენალს, და,

და

იდრა, იდრა და როგორ გაფართოვდა ჯერ ნოესაგან მცირედ შეღებული გრძელი ღრიჭო და ამიტომაც იქვე ღვთით ფართეთ გაღებული სრულიად-კარი და ნოესი ცოლი დ შეილები და მათი ცოლები, - გამოდიოდნენ, გამოდინარეობდნენ იმ კიდობანიდან სადაც რომ მთლად უკანასკნელად შევიდა ნოე და პირველი კი, გამოვიდა, და გამოდიოდ-

ნენც ისეთი ფართო რომ საზეიმოსავით კარბჭედან - ვეება სპილოც - მინის ვეშაპი რამძღავრსა ქედზე ჩიტით-ნიბლით და ხორთუმისწვერზე კოლოთი მაგრამ რომელი-კოლოც სულვერა სჩანდა, გამოდიოდნენ შევლები, ირმები, ღორულ-ღორები და ძალები ავებიცა და კუდეტქიცინაც, და რასასაცილოთსავით და მაგრამ ერთგვრად ამაყი მამალაყინობით მოაბიჯებდნენ წეროები და იქვე მამალიც, სამისაბაძო, გამობ-ობავდა „მინის ლომი“ - მაცდური გველიც, შხამიანი და თავგები მოცრიატებდნენ და სადარვინე (ჩარლზ) მაიმუნები რომელიბიდანაც რო სუმთლად არა მაგრამ საგრძობლად-როგორ წარმოიშვნენ, ზოგი და, კიდევ მეტად გაიხსნა-როგორ ეს რა უღრუბლო, კრიალა ცა ცისფრად როგორად, აშუქებული და, წამოვიდა, მოშებულ სულიერებზე ზეცის მანანა - მკვები როგორ-უქლებლიც სუყოველივეგვარ სულიერისა და იქვე იყო ცვალებადიც წამის-წამობით მარადი წყარო და იმისი ნყალი წყურვილწამგვრელი მხოლოდ კი არა არამედ როგორ რამდენიც გინდა და, როგორ შერბოდნენ ადამიანებიც და მათთან ყველა სულიერი თუ შეხობავდნენც იქვეც-ჩანჩქერში საჭყუმბალოდ, ვითომ, - განიბანებოდნენ,

არამედ, აღიარებ-რა საკუთარ სისუსტეს ამ მოწყალების მიზეზი ეძიე იმაში, რომ ღმერთს ძალზე ეამა წმინდანის (— ნოესი!) მიერ მირთმეული მსხვერპლი“, და, წმიდა პავლე მოციქული: „ვინაიდან ქრისტეს კეთილსურნელი-ბა ვართ ღმერთისაგან გაჩენილთა შორისაც, და დაღუპულთა (— !) შორისაც“, მაგრამ, - „ზოგისთვის სიკვდილის სურნელი სასიკვდილოდ და ზოგისთვის სიცოცხლის სურნელი სასიკვდილოდ. და ვინაა, უნარიანი, ამისათვის“, ხოლო „სიტყვა „კეთილსურნელთა“, ებრაულიდან თარგმანის მიხედვით, კმაყოფილების, დამამშვიდებელი (გავისხენოთ, რომ „ნოე - ...შრომისაგან შუება“,ც, იყო... და არის) სურ-ნელი“-ს ნიშნავს“. და, - „„იმავდროულად, აღნიშნული ცნობის ანალიზის შედეგად მიღებულია მისი მსგავსება ნოეს სახელთან, რომელიც ნიშნავს „სიმშვიდეს“ და ამაში ჩანს სწორედ იმ წინასწარმეტყველების აღსრულება, რომელიც მისთვის მიცემულ სახელში იყო ჩადებული. ეჭვგარეშეა ის, რომ ნოეს ეს მსხვერპლი, ფდრე აბელის მიერ შეწირულ-

გურამ დოჩანაშვილი



პაცი, სახელად ნოე

კი,
 და კიდობანისა იმ ჩახუთული ჰაერისაგან, სიტყვას რომელსაც ეგებ ერთადერთს, „ჰაერს“ ვერ გააჩნია „ეგრეთნოდებული“ სინონიმი და ძალიანაც კარგი, ეს, და სალი ჰაერით - მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთილათის მაცოცხლებელით,ც, იკვებებოდნენ, დაზარბებული და, ბედნიერები, და ის პირველი, რაც განიზრახა დიდდოს ნოემ იყო სწორედ ის, რომ

თავი XV

ბადარჩენა

„აშშმმ ნოემ სამსხვერპლო უფალს“, ქვიანი მხარე იყო ის და ბრტყელი ლოდებიც მიმოფენილიყო მთა-არარატის ფერდობებზე მაგრამ უნესრიგოდ არა რადგან ნოემ ზიდა და ზიდა ისინი, მყარი ქვები და შეილებიც და ყველანი მიიხმარა იმითომ კი არა რომ მარტოს არ შეეძლო ეს არამედ ღვთისადმი ამით, ამ საქციელისათვის მაღლით აღვსილიყვნენ, მისიანებიც, რადგან ხოლო ეს დიდი ქმედება იყო - „აუგო ნოემ სამსხვერპლო უფალს“... ეს, ასე ვთქვათ, წმინდა საკურთხევის ან სამსხვერპლოს პირველი ბიბლიური მოხსენიებაა“, და ერთგულმა და მადლობელმა ნოემ, ღვთის, „...თითო-თითო ამოარჩია ყოველი წმიდა პირუტყვიდან... და აღსავლენად მიიტანა სამსხვერპლოზე - „მიიტანა“ და არა „მიიყვანა“, - სწყალობს ბიბლია აქ წარმოსახვას, ჩვენსას... „იმ წმინდა ცხოველებიდან, რომლებიც კიდობანში ჰყავდა, ნოემ ამოარჩია ნამატი“ (კიდობანში თურმე პირუტყვებიც კი მრავლდებოდნენ, ერთგვარად მეტყველ ქამსავით,) ეგებ იმითომ რომ ამ ნამატის მამობელები მეტნი და კურთხეულ-ჰყავდა, ღმერთს, და „იყნოსა უფალმა კეთილსურნელთა“ მისადმი შეწირული, ცეცხლზე ბოლომდე დამწვარი ნამატისა მაგრამ „ამ გამოთქმის სიუხემემ არ შეგაცდინოს“ - ბრძანებს ამ სიტყვებითა დაკავშირებით ოქროპირი -

ლი მსხვერპლის დარად, ღმერთისათვის სასიამოვნო იყო არა სამსხვერპლოს მატერიალობის გამო“, არამედ თავად მაცხოვარის, მამა-ღმერთისადმი „გამომრატული რწმენის ღვთისმოსაობისა და მოზრჩილების გამო“ იმ ნოესაგან, რომელიც ადრეც დაიარებოდა ღმერთთან, და დააცქერდა ღმერთი ნოეს და თქვა როგორი-ეს დიდად უცნაური, რამ: „...და თქვა უფალმა თავისთვის (— მაგრამ მხოლოდ თავისთვისა, თქვა, ეს, რადგან თუმცა კი ნოეს დასცქეროდა!); ამიერიდან აღარ დაგწყველი მინას ადამიანის გამო, რადგან ბოროტისკენაა მიმართული ადამიანის გულისთქმა სიყრმიდანვე“ - ამ სიტყვებში აშკარად გავმოსჭვივის თავად ღმერთის საზეიმო დასაბუთება, რომ მთელი მსოფლიოს ამგვარად დასჯა აღარ განემორდება“. და, როგორ-მალად მაძიებელი ფიქრები, „განმარტებანი“ში: „მაგრამ ამის მოტივაცია ერთი შეხედვით, გაუგებარია. ალბათ, იგი წარმოადგენს იმ მოტივის გამოხატებას, რომელიც ნარდუნის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა“ - „დაინახა უფალმა ღმერთმა, რომ იმატა ადამიანთა უკეთურებამ ამქვეყნად, რომ უკეთური იყო მუდამაყამს მათი ყოველი გულისთქმა“, და - „გადმობედა ღმერთმა ქვეყანას და, აჰა, წარყვნილიყო იგი, რადგან გაერყვნა ყოველხორციელს თავისი ზნე ამ ქვეყანაზე“, და, როგორც „უთხრა ღმერთმა ნოეს: მოაწია ყოველი ხორციელის აღსასრულმა ჩემს წინაშე, რადგან აივსო ქვეყანა მათი უსამართლობით; და, აჰა, უნდა გავწყვიტო ისინი მთელი ქვეყნითურთ“, და მაგრამ ღმერთს ჰყავდა-მაინც თავისი ერთგული და მორჩილი რომელიც თავისი საქციელებით დაიარებოდა ღმერთთან, და იცოდა მისგან გაჩენილი ბუნებისა და ამ ბუნებისა მოვ-

ლენების ფასი, და უთხრა უფალმა მას: „გაკეთე კიდობანი ურთხელისგან“, და კიდობანის წინ, კიდობანიდან-მით მთელი თავისი ოჯახითა და ყოველ სულიერთან ერთად გადარჩენილი, და გამოსული ძნელ სამშვიდობოზე ნვალებით, ნოე, იდგა ახლა ღვთის წინაშე და აღსავსე როგორი დიდი ბედნიერებით მიუხედავად იმისა რომ, ადამიანების? - „...უკეთური იყო მუდამაყამს მათი ყოველი გულისთქმა“, რითაც ხასიათდება არა იმდენად შთამომავლობით (კანონიერი? თუ, ადამისაც...), რამდენადაც უმთავრესად, მუდმივი ცოდვითი განწყობა, რომელიც გადგინა როგორც ეს ერთ კონტექსტშია, ყოველგვარი ზნეობის ნორმების გათვლასა და მოუნანიებელ ყვედრებაში“ - და თუმცა ებოძათ მათ რომ „ბუმბერაზები იყვნენ იმ ხანებში ქვეყნად და მას მერეც, როცა ღვთისშვილები შედიოდნენ ადამიანის ასულებთან, რომელიც უთმობდნენ მათ. ძლიერები იყვნენ ისინი, ძველთაგანვე სახელოვანი ხალხი“ მაგრამ ეგებაც ამ სიძლიერით „წარყვანა ქვეყანა ღვთის წინაშე და აივსო ქვეყანა უსამართლობით“ ხოლო „ჩვენს მიერ განხილულ მუხლში კი საუბარია თითქმის მხოლოდ შთამომავლობით ცოდვიანობაზე (აქაც - კანონა?... - ადამისიც?) რაზედაც ადამიანი შედარებით ნაკლებად პასუხისმგებელია ვიდრე შეგნებულად, პირადად ჩადენილი ცოდვაზე. მხვერპლის შეწირვით კი, რომელზედაც უკვე გვექონდა საუბარი, ადამიანმა, უკეთ რომ არ შეიძლებოდა, ისე დაამტკიცა რომ მისი პირადი განწყობა გაცილებით უკეთესია, თუმცა იგი თავისი ბუნებრივი ცოდვიანობის გამო და უძლურების გამო აგრძელებს ცოდვების ჩადენას, მაგრამ ყოველი დაცემის გაცნობიერების გამო ძლიერ განიცდის. ადამიანის გულში განწყობის ამგვარი ფერისცვალება საკმარის საფუძველს ქმნიდა მისდამი ღვთაებრივი დამოკიდებულების შესაცვლელად“ - „წინათ მართლმსაჯულება საყოველთაო განსჯით ხორციელდებოდა, ხოლო მოწყალება კი განსაკუთრებულთ ერგებოდათ (ნოეს ამბავი), ამიერიდან კი მართლმსაჯულება ასამართლებს და განსჯის კერძო პირებს და მოგუნებს (სოდომი). ამგვარად სრულიად ბუნებრივი და გასაგები ხდება მითითება ადამიანის შთამომავლობით ნაკლზე, როგორც მისი ცოდვისადმი ლმობიერი დამოკიდებულების მოტივზე. იმ ცოდვისადმი, რომელთანაც ბრძოლის სურვილს თავისი მცირე ძალებით ადამიანი გამოხატავს მსხვერპლშეწირვის საშუალებით“, და როგორი-მაინც უდიადესი, უმდიდრესი და განსაცვიფრებელი ნყალობა თვით ღვთისმიერებისათვისაც, ღვთისგან: „ვიდრე ქვეყანა იქნება“... ანუ მანამ, სანამ დედამინა არსებობს და როდესაც „მინის დღეები“ იძულებულნი იქნებიან თავისი ადგილი დაუთმოონ „ციურ დღეებს“ - ფსალმუნნი 88,30: „და დავამკვიდრებ უკუნისამდე ნაშიერს მისას და მისი ტახტი - ვითარცა დღენი ცისანი“, და, რა ნყალობა იმ მინისადმი რომელიც ერთდროს დასწყევლა, ღმერთმა: „ა რ ც თ ე ს ვ ა და მ კ ა, ა რ ც ყ ი ნ ვ ა და ს ი ც ხ ე, ა რ ც ზ ა ფ ხ უ ლ ი და ზ ა მ თ ა რ ი, ა რ ც დ ლ ე და ლ ა მ ე ა რ გ ა უ ქ მ დ ე ბ ა“ - რომ ეს ყოველი მარადის იქნება, ხან-გამოშვებით შევებითი წვიმა სიცხისას და ბულისას და პაპანებისას და ზამთრობით კი - უებრო თოვლი და სწორედ მათთვის - ადამიანებისათვის ზამთარ-ზაფხული იქნებოდა მარადიული და იქნებაც თესვა ანუ გაზაფხულობა და შემოდგომით, მკა - როგორ-ეს პურის, მარცვლისა და ნაყოფების შეგროვების დრო“, და დააცქერდა უფალი ღმერთი ნოეს და ოჯახს მისას სიყვარულით, მერედა როგორ და როგორით და აკურთხა ყველა და, და ასე უთხრა: „და უთხრა: ინაყოფიერეთ, იმრავლეთ და აავსეთ ქვეყანა. თქვენი მიწი და ძრწოლა ჰქონ-

ციკლიდან: „და ა.შ.“...

ზაალ ებანოიძე

მძროს საშუალო

სუნთქვას ვაყურადებ ფარულად, მაჯასაც — ჩვენ შორის დარჩეს; მივდივარ, პეპლების მარულა თვლებში ნაპერწკლებს აჩენს.

ცოცხალი პოეზია — „რომ ვხედავთ“ და გადმოთარგმნილი — „რომ ვნერთ“, მოპირისპირეთა და მომხრეთა ვარ ბევრი ბრძოლების მონმე.

მათ შორის საშუალოს დავეძებ და ზიარ თვისებებს ვადგენ: ნუ გიკვირთ — ზოგჯერ რო დავეცე, ნუ გიკვირთ — ზოგჯერ რო ავდგე.

მხატვრული იმიჯი

— სინამდვილე ფანტაზიის თარგმანია, — ფანტაზია უნონადო ნიჭია; — სატანჯველად ჩაფიქრებულ ადამიანს — თვალის როგორ აუხვიონ — იცინა.

ვმსჯელობთ ასე, წინ ნიავი მიგვიძღვება, შინდი მთაზე ფრინველივით ფართქალობს; არც მეტი და არც ნაკლები — იმის ნება გვაქვს, ძახველი — ბუხრის ცეცხლად ჩავთვალთ.

ცეცხლის ალი — მხატვრის ფუნჯის ბადალია — ლანდებით რომ კედლებს მოითარეშებს; ალს რომ აჩენს — ცეცხლია და ლადარია, — ფუნჯიც ვინ თქვა — გულის ცეცხლის გარეშე.

ჩამონათვალი ჩარჩოში

მორცხვი იაჟუჟუნა, მეთოვლია მკრთალი, გულმა წაიწურა წყალი, სატკივარი ქარის. ალპიური შხეფია, შენ რომ ცრემლად გერგო: გვრიტა, წყალიკრეფია, კაციხელა, ნეგო, სადონისი, ზიზილა, მაჩიტელას ფრთები, მზერას მორცხვად იზიდავს და ცრემლებით თბები.

ერთი სურათი ორ დროში

თვალში — ჭინკების ნათება, მკერდში — ბინულის ფართქალი: ერთმანეთს მიემატება და ჭვრეტას ვეღარ ამთავრებ.

კაბის კალთაზე ცელქობის სურვილს იკლავდა ნიავი; არც ახლა აღარ ეთმოზა ამ მსუნავ მოლოლიავს.

ღანვზე ესვენა ცის ნამი (თანმიმდევრობით ვერ ყვები); იდგა ზურგსუკან ჭიშკარი — ტყრუშული ღობის ნეკნებით.

ძახილზე გამოგოგმანდა, ანდა სად იყო აქამდე: მართლა ანგელოსს მოჰგავდა — ფრთასაც თუ მიახატავდი.

პირ-სახე — თითქო მონაზვნის, ტანი — ხანძარი ღამეში; ფუნჯის სულ მცირე მონასში სურათს გადაზრდის ხვალეში.

ჩანდა შევლივით შემკრთალი (ითავისებდა გარემოც): მაშინ გოგო და დღეს ქალი — სამყარო მსხმოიარეო.

ნარჩენი იდილია

ნახევარმხარზე წაწოლით ვზივარ, ჯერ კიდევ ზამთრის იგრძნობა თალხი; ნაოფლარი ვარ და ცოტა მცირე, ცოტა მახურებს და ტანზე მაყრის.

„კვირტები კი არ ამოსდის ხეებს, ხეები კვირტებს ჩამოსდის თავად“ — ასე რომ ვფიქრობ და ვუმზერ ტყეებს, ერთადერთს ალბათ — გათვალულს გვავარ.

ახლოდან მოდის ხმაური ღელის — რამე გოდება და რამე ვიში... ცოლიკაურმაც დამატყო ხელი და ლაპარაკის საღერღელს მიშლის:



ავტყდები როცა — ცა უნდა მოვხნა, ავტყდები როცა — ცა უნდა ვთესო, ვილაც იტყვის — „ლაჟვარდის თოხნას — ფაფუკია და მორჩება დღესო“.

ვანვები ზურგით ფარალა ღობეს და მკერდზე მორცხვად ვანვალბე ღილებს: იქ, სადაც დაბადებიდან გცნობენ, ცოტა „მეტიც“ ხარ და ცოტა „მცირეც“.

თავს ვუგებ მახეს თუ ბოლმას ვებრძვი, ვსვამ ღვინოს, ჩემ წინ გლენია სამი; არ გვანვეს ტვირთი მოხარულ-შემწვრის შავ პურზე ხათრად ვაყოლებთ მწვანის.

გროვდება დარდი, გროვდება თვალწინ და მიზეზ-მიზეზ სველდება მზერა. და საზიარო და მომცრო ყანნი გულიდან გულთან მისასვლელს კერავს.

უსასიანო მზერა

თავი ურვილად მოგაქვს და ზოგჯერ — მაინც ხარობ: ვაშინარსებ — დრო მაქვს — ამ გაორების წყაროს:

ექვს პირველში პირველს, ზოგჯერ — ჰავაშიც ჰავას; თვალს გააყოლებ ფრინველს — ლანდს რომ მიჰყვება თავად.

ცოტა ნაკლებად გჯერა, ცოტა ნაკლებად ისმენ; უხასიათო მზერამ გაავერანა სივრცე.

ძილი — ბუნების ძიძა, გადმოისესხე ძალით: არადა, მაინც გღვიძავს, მაინც ღია გაქვს თვალი.

ნარჩი — ორპული

ხვიარა სურო — დამინებული ელვა და ქარის კვალზე — ხმელი ფოთლების ფარდა; ხორცი შეისხა, მართლა შეისხა ნერვმა და ბევრი რამე — რაც არ გინდოდა — გათქვა.

ახლაც ერთმანეთს, ახლაც ერთმანეთს აფრთხობთ თუ ეურჩებით მარტის ჭირვეულ ამინდს; არის ნუთები — ორთავემ უნდა დათმობთ და იძულებით შეინარჩუნოთ თავი.

ნარმოსახვა ამინდზე

ალვაცურობის ჟამი, ტანში რო ჟრჟოლად დაგვიდის ახასიათებს ამინდს თუ წარმოსახვას ამინდზე.

ველი, ველი და ველი, ვის და რატო და რა ვიცი, და ჩამოსართმევ ხელის სითბოს წინდანინ განვიცდი.

შეიბოლება თვალი, ლაჟვარდებით რო ერთობა და ამ დროს ისმის ზარი — ციდან ცოდვების შენდობის.

სივრცე! — სად არის სივრცე, ჩემად რო უნდა ვინამო: თუ ვინმეს რამე მისცეს საასპარეზოდ — მინა მე!

ქარიფანტია წლების შუქმოიაფე სამოსით ამომდის მაინც ფრთები — თუ რამეს ნიშნავს ამოსვლა.

სამთქმელი

შეამსმინოს მებგურობით იგრძნობ — მიზეზ-მიზეზ ხმაურდება ხელის კუნაპეტში ცეცება, როცა ლეგენდების დაურვებას მკაცრი სინამდვილე ეცდება.

ხედები — კანი ჩუმად გესუსხება — ხათრად ატარებენ გამოცდას, ბნელში სიარული ლექსს უხდება — ლექსის სინათლეზე ამოსვლას.

ამჩნევ — ალაგ-ალაგ ამობედავ — თუმცა სულ ერთია — იტყვი სად — ლამის გააზრებულ გამოხედვას თავში დარწმუნებულ ბრიყვისას.

გჯერა — ბარერი გემონდება და მეც იმათ შორის მგულისხმობ: „მაჯა დაივალბს შემონმებას ყელში ამოჩრილი გულისო“...

უსმენ — სიტყვა სიტყვას ენაცვლება — ჭარბად იცლება და ივსება; ამხელს საფეთქლების შენაცრება წლების შეჯამებულ ღირსებას.

ხედავ — ალიონი ისარკება — ძილში რიჟრაჟამდე მისულხარ; ეს დღე შენზე უფრო ვის აკლდება, ეს ცა შენზე უფრო ვის უყვარს.

ნუხარ — არაფერში არ გეთვლება თუ თავს ვერავისთან იმართლებ; მაინც ბურბუშელად აგეთლება — მკერდზე აგეთლება სინათლე.

ფსევდო აკილო

ნაბიჯ-ნაბიჯ ღამდება და ლანდებით ივსება გზა და უფრო ღრმავდება ბნელის ფსევდო ღირსება.

ბნელთან მუნჯურ ლოლიავს უხირდება ბუნება: სმენა აიყოლია ფსევდო განმარებამ.

ფეთქავს ძველი იარა, არც რო გული მშვიდდება; ზოგჯერ ფსევდოდ კი არა, მართლა შეგემინდება.

ფეხქვეშ ნარი გიგია — ხორშაკების ცხელება: ნუხარ — ვერ გაგიგია ფსევდო საკვირველება.

იყო, ნარბი მომშვილდე, თვალს მოჭარბდა ნათება; გული დაგიშომინა ფსევდო შეკამათებამ.

რა გინდა და რას ელი, რა გაუნყეს ზარებმა: თავსხმის მერე — საშველი — ფსევდო გამოდარება.

დაგამძიმებს რული და დუმილს ლოცვას უგზავნი, ფსევდო სიხარულიდან მოწყვეტილი კურცხალით.

ბგერა-ბგერა, ხმა და ხმა ქარმა წელი ასწია: ცუდაობის გადაღმაც ფსევდო სილამაზა.

და ასე შემდეგ...

თვალნაცვები შევარქვი ამ დღეს — ისე სავსეა ეს ცა ხალისით და ათინათი — ძილში რო მანდეს, ცხადში ჩიტივით ხელზე დავისვი.

გამოიდარა. წავიდა თოვლი და მოეჭარბა ფშანებს ხმაური; თავის სამდურავს არ ამხელს მოლი ჩავლილი ზამთრის დანაშაულზე.

ანამნამებენ ხეები ქარში, ფოთლების ლანდებს ანამნამებენ; თვალთ მოხუცის და თვალთ ბავშვის ვფლობ ნეტარებას მე ამ წამების.

სასიამოვნო დალღას გრძნობს ტანი, შემპარავ მარტს რომ სჩვევია — ისეთს;

ხარმა ტბორიდან დალია წყალი და რახანია ხეს აფხანს კისერს.

აქ ეს პეპელა საიდან გაჩნდა, რომ არ ველოდი ასეთ დროს სულაც; და მოცახცახე დიბა და ფარჩა ისედაც ლამაზს წაადგა სურათს.

ამოიზარდა ფერიდან ფერი — მთელი ზამთარი მიწაზე რომ მალა და შარშანდელი ჩალა და ლელი დისონანსივით შეიმშო ქალამ.

აემგზავრება ფარტენი სერებს, ნისლის ფარტენი თუ მარლა თეთრი; და ფრინველივით დამფრთხალი ლელე ეშვება მთიდან და ველებს თენთავს.

მე — მოდარაჯე, ნაბიჯებს ვზომავ და მარცვალ-მარცვალ ვაჯამებ ბგერებს: დგას ჟრუანტელი, დგას ტანში კრთომა და ასე შემდეგ, მერე და მერე...

მუსიკა — ტრაპიზი

სულ მერცხლის ჭიჭიკს ვუმღერით, ჩირგვიდან შაშვის აფრენას; ნატვრა მეწვია წუხელის და ახლა მინდა გამხელა.

რა ხმით, რა სმენით მოგძებნოთ (არა და ახლოს თავთავობთ): ბეჩაეო მუსიკოსებო, ბუთა და ლამურათაო.

წვიმის ბიობრაფია

არ გინდა, მაგრამ მაინც წვიმს, თვალნი ტბორდება ღვრები, რომ ბრძანეთ: „შენყდი!“ — რა იცი ნვიმამ მოკვდავის ბრძანების.

მთებს მხრებზე წამოუხურავს ღრუბლის შავ-შავი თავშელები; ყვინთავს ფშანგაღმა ხუხულა — საბძელი შექრით ნაშენი.

ქარმა რო გადაიბირა ხეები ერთი ოქტავით, ნვიმაც შეიქმნა ბიბინა მოლივით მარჯვედ მომდგარი.

ხანდახან ცაზე გადაიარს ელვის ბანარი ტანგრძელი, თუ ღმერთის ავტოგრაფია — გაკრული ხელით ნანერი.

თვალსასიეროს რა მოლევს, ყეფენ ძალელები დამფრთხლები; ქათმის ფიტულებს გაგონებს ნვიმაში სოფლის სახლები.

ხრამ-ლელებს კაფია, — ხაფი ხმებია გიჟების; შენც ნვიმის ბიოგრაფიას სიტყვაში ეპატიჟები.

შეგონება ანუ მგლის თავზე ნაპითხული...

იფიქრებ, ცხვრების ფარა დამრულა (შეტბორილი აქვს ქუჩას ფერდები): აზუსტებ მერე ერთხანს ამ სურათს და საბოლოოდ პირველს ჯერდები.

მაინც სად მიდის ეს დედამინა ამ ფეხადგმული რამე ყუთებით, შენს უნებურად პირფარას გადინერ და ზურგიტ კედელს მიეყუდები.



გადასასვლელი... მწვანე შუქია, უნდა იჩქარო, თორემ რა იცი... ხალთიდან შუბი ამოუყვია შიშს და წინდანინ კანკალს განიცდი.

ტბორებს თვალელები ენადირება — აჰა, პროსპექტიც — რკინის ღვარ-ცოფი: მერსედეს-ოპელ-ემადინებად ყოველდღიურად თავს რომ იცოფებს.

ჰაერში ნამწვი, მძიმე სუნია, ცეცხლად ღირებულ შავი ოქროსი: ისე ჩქარი აქვს მაჯაც დუნიას, რომ გვევალება უკვე გონს მოსვლა...

კაფია-ნებატივი

ფრთხილად ვეთამაშებით სიტყვით აზრის ამჩატებას: — იჭახჭახებს შაშვები, ვიდრე ქარი არ ჩადგება.

— ჭიანჭველის მწკრივები, — სტრიქონები ქართულები: მივალთ კმაყოფილები — საუბარში გაერთულები.

— მთები ჩამოთოვილი, — საჩჩელი! — დავასნარი; — ეხო კარგად მოვლილი, — პირისახე ლამაზმანის.

და ნიავეც რქენია, როცა კრავად გადანათლე (იჭვი არ გამჩენია — იმთავითვე გავამართლე).

თმიან გულ-მკერდს ვადარებ, როცა ახოს ჩალთი აშლილს: — ჭალას — მართლა გადამრევ — ვიოლინოს შალითაში.

გახსნა მომესურვება, მხარზე ხათრად მიხუტება: მინდვრები რო ხუნდება, მიდამო რო იხუტება.

ღუმელს ყური ათხოვებ და კარგახანს გაუმკლავდები: რო ვიცოდებ, რას გთხოვენ ეს წუთები — დაგუკრავდები!

ილამბება კაფია თუ სურვილი ორთავესი: — მალლა ნისლის ქაფია, — დაბლა ფშანის მოთქმა მესმის.

შივი

ხატავ განცდის ამარა, ტანზე ხორკლით ხენემით, შიშს რო გადააგაბარა ელდამ ერთხელ ხელებში.

ბატის, ბატის კანი აქვს შიშს და თმა აქვს აშლილი, ამ დროს მუხლში წყალია — ცრემლთან რამე კავშირი.

ერთი სტუმარი

დასაზღვრულია ყოფნა საჩვენო, ძილში გავრბივარ, ცხადში მიჭერენ: რო ბედნიერი სახე გაჩვენო — ხო ვიცი, მაინც არ დამიჯერებ.

სიბერის კალთა — თავსასთუმალი, ვხატე — საზღვრები ფანქრით მოვხაზე; ვარ წუთისოფლის ერთი სტუმარი — თავგადაკლული მის ამოხსნაზე.

ორმაგი ტანჯვა

წლებმა უკითხავად მხერა გამობინდა — თვალთან მოტანილიც შორს ჩანს; არარაობაში მცირე რაობიდან ფეხის გადადგმა და — მორჩა!

გვრჩება აუხსნელი ბურანი და იქაც აუხსნელი გველის; ღვთისგან ნაბობები უნარიდან, რაც რომ მიგვაცილებს — ცრემლი!

ცრემლზე გვირილები მოიშენებს თავს და ამჩატდება ბორცვი; ვაი, იქაც თუ ვერ მოისვენე, სულ — გაძარცვულო ხორცით!

ვახტანგ ჯავახაძე

ისევ გალაკტიონი

დასასრული

ამ სიტყვების წარმომთქმელმა იცის, რომ ბრალეული არც ერთი მხარე არ არის, მიუთითებს კიდევ მესამე პირზე — „საერთო მეგობარზე“ (ალბათ — მწერალთა კავშირის მაშინდელ თავმჯდომარეზე!), მაგრამ ვაჟას მთარგმნელი სტუმარ-მასპინძლის ტაქტს იცავს და მხოლოდ ერთ „საერთო მეგობარზე“ მიუთითებს და არა რამდენიმეზე. იმ სიტუაციაში, ცხელ კვალზე, ორი თვის შემდეგ, სალხინო სუფრაზე, რამდენიმე რუსი თანამეინახის თანდასწრებით, ამაზე მეტს ვერც იტყოდა. მაღლობა მას ამ გულახდილობისა და გაბედულებისათვის (სხვათაშორის, ადრე აღიარა, მარინა ცვეტაევამ რომ თავი მოიკლა, ჩემი ბრალია, ჩემი ბრალიცაა!).

ბორის პასტერნაკის ეს ნაგვიანევი სინანული გვიბიძგებს უფრო მკაცრი პასუხისაკენ, რომელიც პროზოლოგიური თანამიმდევრობით უკვე წარუვადგინეთ მკითხველს გალაკტიონის აპოლოგიაში...

მივუბრუნდეთ იმდღევანდელი საუბრის კიდევ ერთ საინტერესო პასაჟს, რომელიც პარიზის კონგრესს ეხება:

— ერთხელ მიგვიყვანეს იმ სახლთან, სადაც მარატი ცხოვრობდა, — გაიხსენა მასპინძელმა, — ეხოში რალაც ძველი აბაზანა ეგდო. ნამდვილად ამ აბაზანაში მოკლეს მარატი, — ხუმრობით ვუთხარი გალაკტიონს. ალბათ, — სერიოზული სახით მიპასუხა გალაკტიონმა.

„ალბათ“ — ეს გახლავთ ერთადერთი სიტყვა, თუმცა არა სიტყვა — არამედ ნაწილაკი ანუ გრამატიკული მნიშვნელობის უქონელი ბგერათა კომპლექსი, რომელიც გალაკტიონ ტაბიძისა და ბორის პასტერნაკის ერთ საზიარო სივრცეში საკმაოდ ხანგრძლივი თანაცხოვრების საკმაოდ ხანგრძლივი გამოკვლევის შემდეგ აღმოვაჩინე. ამ შემთხვევით შეპასუხებას დილოგს ვერც დავარკმევთ, ალბათ დილოგის ჩანასახია, ნასახი და ნატამალი. არა-და, ერთმა რუს-ქართველა მწერალმა გალაკტიონს პასტერნაკის მეგობრობა დააბრალა და ასეთი ყალბი ვერსიაც გაავრცელა, თითქოს გალაკტიონმა იმიტომ მოიკლა თავი 1959 წელს, რომ 1958 წელს პასტერნაკის შეურაცხყოფა ვერ აიტანა — ნობელის გამო!

ბორის პასტერნაკის ხუმრობაც დავაზუსტოთ: მარატი — საფრანგეთის დიდი რევოლუციის დიდი ლიდერი, რომელიც პარიზის თანამებრძოლი, მეცნიერი, პუბლიცისტი და ტრიბუნი — 1893 წლის 13 ივლისს მოკლეს: ჟირონდისტების მიერ მიგზავნილი 25 წლის შარლოტა კორდე შეიპარა ავადმყოფი მარატის ბინაში, ხანჯალი ჩასცა გულში და ასე შევიდა ისტორიაში. მარატის დაკრძალვა გრანდიოზულ მანიფესტაციად იქცა, შარლოტა კორდეს კი ოთხი დღის შემდეგ თავი მოკვეთეს გილიოტინაზე, რომელიც სულ ერთი წლით ადრე ააგეს დოქტორ გილიოტენის წინადადებით. ერთი წლის შემდეგ ჟირონდისტებმა იაკობინელებს დიქტატურა დაამხეს და რობესპიერი და მისი უახლოესი თანამებრძოლები გაუსამართლებლად აიყვანეს იმავე გილიოტინაზე:

არასდროს ბედი არ ყოფილა ისე ცბიერი, როს ეშაფოტზე აღიოდა რობესპიერი.

ცხადია, იგივე განაჩენი ელოდა მარატსაც: შარლოტა კორდემ მხოლოდ ერთი წლით მოუსწრაფა სიცოცხლე და თვითონ მასაც ერთი წელიწადი დააკლდა, რომ გადარჩენილიყო.

1893 წელსვე ჟაკ ლუი დავიდმა დახატა ცნობილი „მარატის სიკვდილი“, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ტრავიზის შემკრებას იწვევს.

ამოცანა გვიკითხება

ერთხელ, მეორე ათასწლეულის მეოცე საუკუნეში, საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე საკუთარი ბინის აივანზე გამოვიდა, ხელში წამსაზომიანი საათი მოიმარჯვა და მარტივი არითმეტიკული ამოცანის მოცემულობა შეადგინა:

— მარჯანიშვილის ქუჩაზე ყოველ ათ წუთში მიდმოდის ას სამოცი ავტომანქანა.

ორუცნობიანი ამოცანა გვეკითხებოდა: რამდენი ავტომანქანა გაივლიდა მარჯანიშვილის ქუჩაზე ერთ საათში და რამდენი ავტომანქანა გაივლიდა ათ საათში?

და საქართველოს სახალხო პოეტმა, რომელმაც მთელი ცხოვრება საკუთარი სტრიქონებისა და კუთვნილი ჰონორარის გამოანგარიშებაში გაატარა, ორუცნობიანი ამოცანა წარმატებით ამოხსნა:

— საათში გაივლის ცხრას სამოცი ავტომანქანა, ათ საათში კი 9 600 (ცხრა ათას ექვსასი) ავტომანქანა.

დღეც, მესამე ათასწლეულის ოცდამეერთე საუკუნეში, უფრო ზუსტად — 2012 წელს, კიდევ უფრო ზუსტად — 22 იანვარს და კიდევ უფრო ზუსტად — თოთხმეტ საათზე, — მე ვდგავარ გალაკტიონის აივანზე, ხელში წამსაზომიანი საათი მიჭირავს და ვაპირებ სხვა საუკუნის ანალოგიური მარტივი არითმეტიკული ამოცანა ამოხსნა და შევადარო.

ამაოდ!
დღეს მარჯანიშვილის ქუჩაზე ავტომანქანები კი არ მიდი-მოდინ და კი არ მიჭირი-მოჭირან, არამედ მიცოცავ-მოცოცავენ, ვინაიდან დღეს მარჯანიშვილის ქუჩაზე მთელი დღე პერმანენტული საცობია.
არადა, ამოცანა ისევ გვეკითხება!

მწერალი

ირაკლი ქასრაშვილი

დარწმუნებული ვარ, მკითხველის დიდ ნაწილს ეს სახელი და გვარი ბევრს არაფერს ეუბნება. ის კი არაა, ლიტერატურულ წრეებშიც ნაკლებად იცნობენ. თავად ამაში გასაცხად ვერაფერს ხედავს, რადგან პროფესია არალიტერატურული აქვს (ერთ-ერთ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობს) და მაინც დაინტერესდება არც პოპულარობისკენ ისწრაფვის, თუმცა წერა მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურულ პერიოდიკაში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან იბეჭდებოდა, პირველი წიგნი მხოლოდ 2009-ში გამოიცა. რომანი სახელწოდებით „სოკრატე“ ლიტერატურული კონკურსების — „საბას“ და „გალას“ ფინალში გავიდა, მაგრამ ჯილდოს მფლობელი ვერ გახდა. 2010-ში მისი მეორე წიგნი — „რეპუტიცია“ — გამოვიდა, რომელშიც რამდენიმე მოთხრობა და ერთი პიესა გაერთიანდა.

ბევრს არ წერს (დრო არ აქვს), მაგრამ რასაც წერს, ამკარად საინტერესოა. ეს ტექსტები მკითხველს ფიქრისკენ უბიძგებს, ავტორი კი ლიტერატურის მიზანს ადამიანის უკეთესობისკენ შეცვლაში ხედავს და წუხს იმის გამო, რომ წიგნები ადამიანებზე გავლენას აღარ ახდენენ.

— ნებისმიერი მწერალი იმისთვის წერს, რომ მისი ტექსტები შემდეგ მკითხველის სამსჯავროზე წარდგეს. ვისთვის ან რისთვის წერს თქვენ? იმედი, ერთი თქვენი მოთხრობის გმირის მსგავსად, იმისთვის არა, რომ ეს წიგნები „არა-სოდეს დაიბეჭდოს და რომც დაიბეჭდოს, არავინ წაიკითხოს“...
— არა, ასეთი პერსპექტივა არ მხიბლავს. საერთოდ, ვცდილობ, თუ რამეს გავაკეთებ, სხვისთვისაც ხელმისაწვდომი იყოს. როგორც წესი, წერის დროს მკითხველზე არ ფიქრობ. ალბათ, უმეტესობა ასეა. თუმცა ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავისთვის წერს, არც არაფერს ბეჭდავს. ვწერ ჩვეულებრივი ქართველი მკითხველისთვის, რომელსაც თანამედროვე ლიტერატურა აინტერესებს.


— კრებულში, რომელიც შარშანწინ გამოიცა, რამდენიმე ახალი მოთხრობა და ერთი პიესა შევიდა. როდის დაინერგა ისინი?
— ყველაზე ადრე პიესა დავწერე, ეს იყო 1998 წელს, ოღონდ არსად გამოიქვეყნებია. სულ ბოლოს, 2008-2009 წლებში — „აუტოდაფე“, რომლითაც კრებული იხსნება. ეს მოთხრობები მანამდე არსად დაბეჭდილა, უბრალოდ, ერთ დღეს გადავწყვიტე, წიგნად გამომეცა. საერთოდ, ტექსტს რომ დავასრულებ, ნახევარი წელი აღარ ვეკარებ. დევს, დევს... მერე, როცა ხელახლა ვკითხულობ, ბევრ რამეს თავიდან ვწერ ხოლმე. ეს ბუნებრივიცაა: მუშაობის პროცესში, როდესაც მთლიანად ტექსტში ხარ ჩართული და ერთი და იმავეს ათასჯერ უკირკიტებ, ნამუშევარს სწორად ვეღარ აღიქვამ. დრო რომ გადის, ბევრ რამეს სხვა თვალთა აფასებ და შეცდომაც ნაკლებია. ამიტომ იმეოთა, ერთი ხელის მოსმით რამე დავწერო.

— თქვენი მოთხრობები მკითხველს დაფიქრებისკენ უბიძგებს, ანალიზს ითხოვს. იგივე „გველისმჭამელი“ ან „რეპუტიცია“, სადაც ნაჩვენებია ფსიქოლოგიური გზა, რომელსაც ადამიანი გადაწყვეტილების მიღებამდე გადის. იმ ყველაფრის შემდეგ, რაც მინდა თავს ხდებ, უკვე აღარ არის გასაკვირი, რატომ ამბობს საკუთარი ნებით უარს ბუნების უდიდესი საიდუმლოს ფლობაზე. ანდა „რეპუტიციაში“ რამონი, რომელიც სრულიად ჩვეულებრივი ადამიანია, რატომ ხდება მოთხრობის ბოლოს ცივისსხილანი მკვლელი? ამ ყველაფერს იმიტომ გეკითხებით, რომ მომეჩვენა, ადამიანის ფსიქოლოგიაში ღრმად წვდომა და მისი შინაგანი ცვლილებების ჩვენება თქვენთვის მნიშვნელოვანია.

— რასაკვირველია — როგორც ნებისმიერი მწერლისთვის. თუ გმირის ფსიქოლოგიის კარგად დახატვა არ შეგიძლია, არც უნდა წერო. რაც შეეხება „რეპუტიციას“, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ეს თემა პოპულარული არ არის, ძალიან მაინტერესებდა და ბევრი ნავიკითხე ესპანეთის ომზე და ტროცკის მკვლელობაზეც. მთავარი, რაც ამ მოთხრობით მინდოდა მეჩვენებინა — რას უშვრება კომუნისტური იდეოლოგია ადამიანებს. კომუნისტებისთვის ესპანეთის სამოქალაქო ომი იყო ის ასპარეზი, სადაც საშუალება ეძლეოდა მეტნაკლებად დადებით კონტექსტში წარმოჩენილიყვნენ. თუმცა ამასაც საკუთარი მიზნებისთვის იყენებდნენ და არა ადამიანის სიცოცხლის დასაცავად.

— ეს მოთხრობა რეალურ ფაქტს ეფუძნება?
— ნაწილი დოკუმენტურია, ნაწილი —

მთავარი გმირის ჩათვლით — მთლიანად გამოგონილი. ტროცკის მკვლელები არ არის ფანტაზიის ნაყოფი, რეალური პიროვნებები. მისი საფლავიც კი მაქვს ნახაბი მოსკოვში. საერთოდ, „რეპუტიციის“ დაწერა გადამანყვებინა ორუელის წიგნმა — „პატივის მიგება კატალონიისთვის“. ცნობილია, რომ ორუელი იბრძოდა ესპან-



ეთში, სადაც ტროცკისტების მხარდამჭერ ორგანიზაციას წარმოადგენდა და წიგნში ასახული მოვლენებიც საკუთარი თვალით აქვს ნახაბი. ყველაზე დიდი კომპარტი, რაც კომუნისტურ იდეოლოგიას ახასიათებდა, პიროვნების ფაქტორის უგულვებელყოფაა. ადამიანი მათთვის უბრალო ქანჭიკი იყო, რომლის ბედი ხშირად კოლექტივის ინტერესებს ეწირებოდა.

— ეს დამენტი ნებისმიერი იმპერიათვისაა დამახასიათებელი.
— კომუნისტები სხვა იმპერიებისგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ მხოლოდ მტერს კი არა, თავისიანებსაც დაუნდობლად ხოცავდნენ. ჩვეულებრივ, იმპერია ან ტოტალიტარული იდეოლოგია მტერს ანადგურებს და არა ერთგულ მებრძოლებს. „რეპუტიციაში“ კი, იმედი, კარგად ჩანს, როგორ ეპყრობიან კომუნისტები სისტემისთვის თავდადებულ ადამიანებს. სამწუხაროდ, ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა.

— კომუნისტებიდან ძველ საბერძნეთში გადაინაცვლოთ და ანტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურაზე ვისაუბროთ. რომანი „სოკრატე“, რომელიც 2009 წელს გამოვიდა, ლიტერატურული კონკურსების, „საბას“ და „გალას“ ფინალში გავიდა, თუმცა ვერ გაიმარჯვა. რამ გააღაგანყვებინათ ამ თემაზე წერა — ზოგადად ანტიკური ლიტერატურა გაინტერესებთ თუ უბრალოდ სოკრატე გამოარჩიეთ?
— ფიქრობ, ორივე ფაქტორმა იმოქმედა. ჯერ ერთი, რომ ეს სფერო ძალიან მიყვარს და არცთუ ცუდად ვიცი. ფაქტობრივად, მთელი ანტიკური ლიტერატურა მაქვს ნაკითხული. სოკრატეს რაც შეეხება, თავად მისი პიროვნება აღმოჩნდა ჩემთვის მიმზიდველი. საერთოდ, რაც უფრო იზრდება და გამოცდილებას იძენს, მით უფრო ცხადი ხდება, რამდენად განსხვავდება ადამიანთა სიტყვები მათი ქმედებისგან. ხშირად ადამიანები, რომლებიც ბევრ დადებითს ქადაგებენ, ცხოვრებაში სხვაგვარად იქცევიან. სოკრატე ჩემთვის სწორედ იმით იყო საინტერესო, რომ რასაც ამბობდა, იმასვე აკეთებდა. ძალიან მცირე იყო სხვაობა მის სიტყვასა და ქცევას შორის.

ამ რომანს საინტერესო ისტორია აქვს: თავიდან მინდოდა დამეწერა წიგნი, სადაც ნაჩვენებია იქნებოდა, რომ სოკრატე გამოგონილი ადამიანი იყო, რამდენიმე ათენელის მიერ გამოგონილი პიროვნება, რათა ზნეობრივი იდეალი შეექმნათ უზენოესი წაბრუნული ქალაქისთვის. ტექსტი თითქმის დასრულებული მქონდა, როდესაც მივხვდი, რომ ეს კაცი არ გამოუგონიათ, მართლა არსებობდა და რაც აქამდე დავწერე, არასწორი იყო, ამიტომ ყველაფერი გადავყარე და ხელახლა შევუდექი საქმეს. ანუ, სხვა წიგნიც არსებობს, პირველი ვერსია, რომელიც სრულიად განსხვავებულია. იქიდან სულ ორი ეპიზოდი მოხვდა ამ ტექსტში: პოლიციის თანამშრომლის პატაკი და სოკრატეს ცოლის მეგობრის ჩანაწერი. დანარჩენი თავიდან დავწერე. მთელ ამ ისტორიაში ყველაზე მთავარია, რატომ გვინტერესებს სოკრატე 2500 წლის შემდეგ, როდესაც სრულიად შეცვლილია კაცობრიობის ცხოვრება, მენტალიტეტი... პასუხი ერთია: მისი პიროვნება ამტკიცებს, რომ ყველაფრის მიუხედავად, მარადიული ღირებულებები არსებობს. არსებობენ ადამიანები, რომლებიც სხვებისთვის მაგალითს წარ-

„ 3 წერ იმას, რაც მაინტერესებს “

მოადგენენ. შეიძლება მაინცდამაინც მისაბაძი მაგალითიც არ იყოს, უბრალოდ, გაჩვენოს, რისი გაკეთება შეუძლია ადამიანს.

— მუშაობის პროცესი როგორ წარიმართა, ვგულისხმობ მასალის მოძიებას...
— თუ რამე დაწერილა სოკრატეზე ქართულად, ინგლისურად და რუსულად, თითქმის ყველაფერს გავეცანი. თუმცა მოხდა ისე, რომ ჯერ რალაც ნაწილი ნავიკითხე, მერე რომანი დავწერე და შემდეგ კიდევ ნავიკითხე რამდენიმე წიგნი, მაგრამ ტექსტში აღარაფერი შემიცვლია.

— ინგლისურენოვან ლიტერატურაში იყო რამე მნიშვნელოვანი?
— სიმართლე გითხრა, განსაკუთრებული არაფერი. ამერიკელების დაწერილი ორი წიგნი ვიპოვე, ისიც — მხატვრული ნაწარმოები. ერთი ჯოზეფ ფელერის და მეორე — მაქსველ ანდერსონის. ორივეგან ისტორიულ პიროვნებაზე იყო აქცენტი, განსაკუთრებით ანდერსონის პიესაში. რასაკვირველია, ნავიკითხე პლატონის და ქსენოფონტის ყველა ტექსტი, რომელიც სოკრატეს ეხება. ძირითადი ამოსავალი ეს იყო, თავდაპირველად ხომ მათ დანერგე სოკრატეზე. წიგნზე მუშაობისას ჩემთვის მთავარი იყო ისტორიული კონტექსტის ცოდნა და არა ისტორიის ფხვნილი მიყლა, ამიტომ რომანში რეალობასთან ერთად ბევრი გამოწვანა. მაგალითად, აარონ ბარტლემის ნინასიტყვაობა, რომელიც კრავს სიუჟეტს. ჩემი ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, რომ რეალობა და გამოწვანა ერთმანეთში ოსტატურად გადაემხლართა. გამომივიდა თუ არა, მკითხველი განსაზღვრავს.

— და მაინც, რისი თქმა გინდოდათ ამ წიგნით მკითხველისთვის, ვინ არის თქვენს მიერ დახატული სოკრატე — გამოგონილი პიროვნება თუ რეალურად არსებული?
— ამაზე ნაკლებად ვფიქრობდი, უბრალოდ მინდოდა, სხვა თვალით დამენახებინა ბერძენი ფილოსოფოსი. მეჩვენებინა, რას წარმოადგენდა თანამედროვეთათვის. ეს ჩვენთვისაა სოკრატე ცნობილი მოაზროვნე, ზნეობის ნიმუში, პლატონის მასწავლებელი, პიროვნება, რომელმაც შემოიღო დიალექტიკური მე-

თოდი, იმ პერიოდში კი ერთი ჩვეულებრივი ადამიანი იყო. მეტნაკლებად გამორჩეული, რადგან მთელს ქალაქში დადიოდა და ვილატებს ესაუბრებოდა. ამიტომაცაა საინტერესო, როგორ აღიქვამდნენ მას გარშემომყოფნი.

არის კიდევ ერთი მომენტი — სოკრატეს სასამართლო, რომელიც თითქმის ყველა ტექსტში ფიგურირებს. ამაზე აქცენტის გაკეთება მაინცდამაინც არ მინდოდა, მაგრამ ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა სხვა თვალსაზრისით. საქმე ის არის, რომ დაკარგულია როგორც ბრალმდებელთა, ასევე დაცვის მხარის სიტყვები, არადა, იმ ხალხს ხომ ჰქონდა თავისი სიმართლე და ლოგიკა. ამიტომ დავწერე სამი საბრალდებო სიტყვა, რომლებიც თავიდან ბოლომდე გამოგონილია. გარდა ამისა, ცნობილია, რომ პლატონმა დაწერა სოკრატეს დასაცავი სიტყვა, მაგრამ კითხვა რომ დაიწყო, ხალხმა ისეთი ყვირილი ატეხა, ვეღარ გააგრძელა, ამიტომ, რა უნდა ეთქვა, არავინ იცის. ეს სიტყვაც მთლიანად გამოგონილია. დაკარგულია ლოგოგრაფ ლისიას სიტყვაც, რომელიც სოკრატემ არ წაიკითხა და ამ ყველაფრის შეთხზვა ჩემთვის საინტერესო იყო.


— ტექსტში არის სოკრატეს ცოლის, ქსანთიპას მეგობრის წერილი, რომელიც ფილოსოფოსს არცთუ სასიამოვნო კონტექსტში წარმოაჩენს.

— ეს არის ყოფითი მხარე, რომელიც ყველას და ყველაფერს აქვს. მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ცხადია, სოკრატე არ იქნებოდა ოჯახში იოლად ასახანი. წარმოდგინეთ კაცი, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში შინ არ შედის და შვილები მშვიდი ჰყავს. ამის მიუხედავად, გადავწყვიტე, მკითხველისთვის ფილოსოფოსი ამ კუთხითაც მეჩვენებინა. თუმცა არ მინდოდა, წიგნი მხოლოდ ყოფით ამბად ქცულიყო, ამიტომ ბოლოში მისივე ფიქრები დავამატე. ვფიქრობ, ამან თხრობაში სოკრატესული მუხტი შეიტანა. სხვათა შორის, თავიდან რომანი გაცილებით ვრცელი იყო, თუმცა ბოლოს ბევრი რამ შედეგად მომიჩვენა და შევამცირე.

— თანამედროვე სალიტერატურო სივრცეში სოკრატეზე რომანის დაწერა გაბედული ნაბიჯია. ყოველ შემთხვევაში, ეს ტექსტი თავისი სტილითა და თემატიკით გარკვეულიწოდ აღმოვარდნილია ზოგადი სურათიდან.

— გეთანხმებით, თუმცა ვფიქრობ, რომ ეს ჩემი უპირატესობაა. ყოველთვის ვწერ იმას, რაც მაინტერესებს. თემებსაც ამის მიხედვით ვარჩევ. სხვათა შორის, 90-იანი წლების ბოლოს რამდენჯერმე ვცაფე, ე.წ. მოთხოვნად თემებზე წერა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მაშინ უკვე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. მას შემდეგ მხოლოდ იმაზე ვწერ, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია. ერთადერთი პრობლემა დროის სიმცირეა. დრო რომ მქონდეს, უფრო მეტს დავწერდი, იდეები ნამდვილად მაქვს.

— იდეებს რაც შეეხება, მინდა თქვენს ბოლო მოთხრობაზე — „აუტოდაფეზე“ გვესაუბროთ, რომელსაც ცოტა უცნაური, უფრო სწორად, აბსურდული სიუჟეტი აქვს: ინტერნეტისა და ელექტრონული წიგნების პოპულარიზაციისთვის მე-



ირაკლი ქასრაშვილი

ბრძოლ ადამიანთა ჯგუფი მოსახლეობას სახლებში უფარდება და ნაბეჭდი ნიგნებების გამოტანას სთხოვს, რომელთაც შემდეგ საჯაროდ წვეს. ასეთი რამ ძალიან ცუდ სიზმარში შეიძლება დაგესიზმროს. რამ გიბიძგათ მსგავსი ლიტერატურული „ძალადობის კენ“?

— ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: ერთ-ერთი ისაა, რომ ვხედავ, დღეს ადამიანებს ნიგნები ნაკლებად აინტერესებთ. მეორე, რაც ყველაზე მეტად მალევეებს, როგორ ხდება ძალადობა საზოგადოებაზე, რომელიც ამ ყველაფერს ვერ ეწინააღმდეგება. ზოგ შემთხვევაში ძალადობა უპიროვნოდ კი არის და სწორედ ამის ჩვენება მინდობდა ამ ტექსტით. მოთხრობაში ჩანან ადამიანები, რომლებიც ნიგნებს წვადენ და რომელთაც მთავარი გმირი უპირისპირდება, მაგრამ ესენი შემსრულებლები არიან, მათ უკან კი იდეოლოგია იმალება. ეს შეგნებულად გადწყვეტილება იყო, იმიტომ რომ ხშირად მავანნი საკუთარ ბინძურ ქცევებს კონკრეტული რეჟიმით ან იდეოლოგიით ამართლებენ, როგორც, მაგალითად, კომუნისტები. არადა, ადამიანი ყოველთვის არის პასუხისმგებელი საკუთარ ქცევაზე. ვერანაირი დრო და რეჟიმი ვერ გაიძულა უღირსი გადწყვეტილების მიღებას. თუმცა ხშირად პირიქით ხდება. ამ შემთხვევაში ჩემთვის არა მარტო მთავარი გმირია მსხვერპლი, არამედ ისიც, ვინც ნიგნებს წვეს.



— ანუ ელექტრონული და ბეჭდური ნიგნების დაპირისპირების თემა ნაკლებად მნიშვნელოვანია?

— ეს საკითხი დიდად არ მალევეებს და რეალურად იმიტომ შემოვიტანე, რომ ტექსტში სიცხადე შემეტანა. რაღაც

ეტაპზე ცოტა აბსურდული სიტუაცია შეიქმნა და ვიფიქრე, ეს თემა გაურკვეველობას ნათელს მოჰყენდა. ზოგადად, არ ვარ ელექტრონული ნიგნების წინააღმდეგი და არც იმას ვფიქრობ, რომ ოდესმე ელექტრონული ნიგნი ნაბეჭდს განდევნის. ალბათ, ერთდროულად იარსებებენ, როგორც თეატრი და კინო და არაფერია საგანგაშო. პრობლემა ისაა, რომ ხალხი არ კითხულობს ნიგნებს. პრობლემა ისიც, რომ ნიგნები ადამიანებზე ზეგავლენას აღარ ახდენენ.

— შეიძლება იმიტომაც, რომ ასეთი ნიგნები ნაკლებად ინერება. მწერლებსაც აღარ აქვთ მოთხოვნა, ზეგავლენა მოახდინონ მკითხველზე. ეს გასულ საუკუნეებში უფრო იგრძნობოდა.

— შესაძლოა. პრინციპში, წერის დროს მწერალი ამაზე არც ფიქრობს, მაგრამ მკითხველი ხომ უნდა კითხულობდეს იმისთვის, რომ ტექსტიდან რაღაც მიიღოს. შეიძლება კონკრეტულმა ნაწარმოებმა ბევრი არაფერი შეცვალოს პიროვნებაში, მაგრამ ცოტათი განსხვავებულ მაინც უნდა გახადოს. კარგად თუ ცუდად, ამის განსაზღვრა რთულია. ამ მხრივ დღევანდელ სამყაროში გაცილებით აქტიუალურია კინო, რომელიც მოქმედების მოდელსაც ქმნის.

— უფრო იოლი აღსაქმელია და იმიტომ. წიგნის კითხვა მეტ ძალისხმევას მოითხოვს.

— მართალია, მაგრამ ასეთია რეალო-

ბა. მე არ ვთვლი, რომ აქ რამის შეცვლა შეიძლება, იმის მიუხედავად, რომ ეს რეალობა არ მომწონს. ამიტომაც დავეწერე ეს მოთხრობა.

— სამომავლოდ რას აპირებთ?

— ახლა უცებ პიესების წერა გადავწყვიტე. რომ მკითხოთ, რატომ, ვერ გიპასუხებთ. ერთი საინტერესო იდეა მაქვს, რომელიც პიესის თემად გამოვიყენებ. ეს არის კონკრეტული ოჯახის ისტორია 1991-იდან 2010 წლამდე. მიხდა ვაჩვენო, როგორ იცვლება ადამიანთა ცხოვრება დროის ვრცელ მონაკვეთში.

— ისევ „არაპოპულარულ“ თემას მიადევით. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ჟანრად შეიძლება ჩაითვალოს დღეს პიესა.

— ასეა, მაგრამ უცნაურია, რატომ. ქართველებს ხომ ძალიან გიყვარს მოქმედება?


— ნაკითხული მოქმედება არ გიყვარს.

— ეს მართალია, დადგმული უფრო მოგვწონს, „ექმენი“ რასაც ჰქვია, თუმცა ამ პიესაში „ექმენი“ ნაკლებად იქნება. არ ვიცი, რა გამოვა, წინასწარ ძნელია რამის განსაზღვრა. პერიოდულად მოთხრობებსაც ვწერ. ალბათ იმიტომ, რომ წერის სურვილი მაქვს და სანამ ეს სურვილი იარსებებს, გავაგრძელებ, იმის მიუხედავად, იქნება თუ არა ინტერესი მკითხველის მხრიდან.

ესაუბრა ნანა კობახიძე

რეცენზია

ნაჰაპეტ ქურაკი ქართულად



ნაჰაპეტ ქურაკი XIII-XIV საუკუნეების სომეხი პოეტი. მისი ას ერთი ჰაირენი (სალექსო ფორმა ასეთი) ქართულად ააქულრა გივი შაჰნაზარმა. პოეტ, მთარგმნელ, ლიტერატორ გივი შაჰნაზარს კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. ის ერთი იმთავანია, ვისი ნახელავიც ოსტაბობის შეტყუარი დამდით არის აღბეჭდილი. ამ მცირე ხნის წინ ჩვენი წიგნის თარო პარულირ სევაკის მისეულმა თარგმანებმა დაამშვენა. კიდევ ერთხელ ვიგრძენით რთულად აღსაქმელი და ამავე დროს სულისშემძვრელი მღელვარებით გაჟღერთილი თანამედროვე პოეტის შემოქმედება.

და აი, ახლა ნაჰაპეტ ქურაკი. დამემონებთ: არცთუ ისე ხშირია პარალელური ტექსტებით განყოფილი სომეხურ-ქართული პოეზიის გამოცემები.

წიგნის მცირე წინა თქმაში მთარგმნელი გვამცნობს, რომ ნაჰაპეტ ქურაკი „ზეციერიცაა და მიწიერიც“. და მართლაც ასეა. პოეტი მშვენიერებას ჭვრეტს, ოღონდ ეს მშვენიერება არა მხოლოდ კონკრეტულია და ხელშესახები, არამედ პლასტიურიცაა, საგანგებოდ ჩამონაკეთული:

*შამბარში ლელი რომ ირნევა
შენი ლერწამითი წელი არის,
წელი - მალალი და მოქნეული
წყლისპირის წელი წელი არის.
უკდავების წელს რომ იტყვიან,
მაგ მკერდით აღმოსვლელი არის,
ნეტარ მას, ვინც რომ მოგეახლა,
დაგენაფა და მსმელი არის...*

სატრფილო ლირიკა ათასგვარია. ლირიკის ამ სახეობაში, ისე როგორც სარკეში, პოეტის პიროვნება ირეკლება. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ნაჰაპეტ ქურაკი თავდავიწყებული მოტრფილვე არის და გონებახმავილი, გამჭრიახი კაციც. მისი ძლიერი გრძნობა თითქოს მისივე ნათელი გონების თანამდევია, მისი ნათქვამი სიტყვა ერთდროულად ზედმიწევნით ზუსტიც არის და მღელვარეც.

ნაჰაპეტ ქურაკი ფორმის უბაძლო ოსტატია. ჰაირენი — ეს მცირე სალექსო ფორმა მის ხელში ნატიფი სახოვანებით აღბეჭდილ ელვარებას ასხივებს. აზრი სხარტად მოძრაობს, სახოვანებას იძენს და სულ მცირე მონაკვეთზე ამოწურავს თავის თავს. ჰაირენი — პოეტური სხარტულაა, პოეტური გაღვება თუ განათებაა, ისეთი გაბრწყინებაა, როცა ნათელი ღრმა განცდის წიაღიდან ამოიფრქვევა.

გივი შაჰნაზარიც ცდილობს ალლო აულოს სომეხ პოეტს. მთარგმნელი ერთგვარ თავისუფლებასაც იჩენს, ის თითქოს ქამანდივით ისვრის სიტყვას, რათა დედამისეული აზრი და გრძნობა ერთდროულად მოიხელთოს. ოღონდ ეს იმგვარად უნდა მოხდეს, რომ ნათქვამმა პირველქმნილებმა შეინარჩუნოს და ნანეალების შთაბეჭდილება არ დატოვოს, რაც იოლი ნამდვილად არ გახლავთ.

*ვინც ბოროტს ტურფა წაჰკვაროს
მისმა სამრეკლომ რეკოსა!
ხიდს რომ გადავლენ, ის ხიდი
ნიავარს ნელეკოსა.
ეთოვოს, კვალში მადეევარს,
სდომოდეს, ვერცრა ეყნოსა,
ნალკოტში შეეყვანოს და
დღისით ტურებში ეკოცნა.*

ლაკონიურობა ყველა დროის პოეზიას სძენდა ხიბლს. მოკლედ თქმას ყველაფერთან ერთად ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ნათქვამთან ერთად უთქმელი და ნაგულისხმევი ამეტყველდეს.

ეს როგორც ჩანს, კარგად იცის გივი შაჰნაზარმა, ამიტომ ცდილობს იმგვარი ეფონიური ეფექტი შექმნას, რომ ტექსტი ნაკითხვისთანავე არ დასრულდეს. ყოველი ჰაირენი ზარივით უნდა წკრიალებდეს და ჟღერდეს მკითხველის არსებაში. ასეც არის. ასეც მოხდა გივი შაჰნაზარის წყალობით.

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით. ცალკე აღნიშვნის ღირსია მხატვრობა, რომელიც გოგი წერეთელს ეკუთვნის.

ეურაბ ბარამიძე

გამომცემლობა „უსტარი“ მალე გამოსცემს მისი მოსულიშვილის ახალ კინორომანს: „ჭელესა, ანუ ელი ელოზა, მელი მელიადა, ზღვა ფოფინობდა...“

რომანი ჩვენი უძველესი მოძვეების — ლაზების ცხოვრებას, მათ მიერ შენარჩუნებულ ქართულ ადათ-წესებს, ხალხური მედიცინის საიდუმლოების დაცვას და ლაზებს ფიქრით გამოწვეულ უმძიმეს სევდას ასახავს. ნაწარმოები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ მძიმე ტკივილს, ლაზეთი რომ ჰქვია და მისი ნაკითხვის შემდეგ არაერთს დააფიქრებს იმ მოსახლედ ვალზე, რომელიც მათ წინაშე გვაკისრია.

ტორვის ჭაობაში

ფოკა კირბიში თავის ნაღს ტორფანრების გასწვრივ მიაცურებს, თეთრ და ყვითელ დუფარებში და წყლის კაკლებში.

ნავის ცხვირზე მჯდომ უჩას ცნობისმოყვარეობით აქეთ-იქით დაურბის თვალები.

წყლის პატარა ქათამურები ფრთების წყალზე ფართქა-ფურთქითა და დგაფა-დგაფუნით იმალებიან ლელიანში.

აქ ლელქაშები ამოსული, ასევე სამეფო გვიმრა თუ ჩრდილოეთის ისლი (Carex lasiocarpa) და შქერი (Rhododendron ponticum), რომელთაც ზღვასავით ალელვებს ზღვიდან წამოსული ბრიზი და მათ მიღმა ჭაობები, სადაც ხარობს სფაგნუმის ხავსები (Sphagnum imbricatum).

ისლის მახლობლად მცურავი მყივანა გედები, ეტყობა, ჯერ არ წასულან ჩრდილოეთისკენ და რეზინის ნაღს რომ დაინახავენ შორიდან, მაშინვე მალლა აიჭრებიან წყლიდან, სიმალღეს აიღებენ და ერთ ხაზზე ჩამწკრივებულები აღმოსავლეთისკენ გაფრინდებიან.

ფოკა კირბიში დროდადრო ნაღს აჩერებს და უჩაც ზურგჩანთაში აგროვებს მცენარეებს მამამისის მითითებით, - ზოგის კვირტებს თუ ყვავილებს და ფოთლებს, ზოგისაც - ფესვებს.

ზღვის შროშანები

მეი ქვიშიანი დიუნების მიღმა, ნაპირზე დგას და ზღვას გასცქერის, რომელსაც შუადღის მზე დაჰნათის. ზურგზე გავსებული ზურგჩანთა ჰკიდია და ხელში გრძელეროიანი ზღვის შროშანები უჭირავს, რომელთაგან ორი უკვე აყვავებულა და გაშლილა, დანარჩენი ჯერ გასაშლელია და ულაშაზეს კოკრებად მოჩანს.

საშუალო სიდიდის ტალღები თეთრად ქაფდებიან და სანაპიროზე მოისწრაფიან. თოლიები ზღვას მოსდებიან და თავიანთ ხმას უერთებენ ტალღების ხმაურს.

მეი დგას და ამ ხმებს უსმენს. დიუნების ქვემოთ მხრიდან მალე შორეული დუღუნის მოისმის.

კინორომანი

მისი მოსულიშვილი

HELESA

(ფრაგმენტი)

მეი ილიმის. ის შორეული ხმა მალე გუგუნდა გადაიქცევა და შორს, იქ სადაც ჰორიზონტი და ნაპირი თითქოს ერთმანეთს უერთდებიან, თეთრად გამოჩნდება პატარა წერტილი.

მერე ის თეთრი წერტილი თანდათან იზრდება, იზრდება, მატულობს.

მატულობს ძრავების გუგუნვით.

და ნელ-ნელა იკვეთება პანტონებისანი ნავი, რომელიც სანაპიროს მოუყვება.

მეი ზღვის თეთრ შროშანებს უქნევს ნაღს.

პანტონებისანი ნავი ნაპირზე მდგარ მდის გაუსწორდება და მესაჭის ადგილიდან იამარ ბადიში გამოყოფს თავს, რალაცას დაუძახებს გოგო.

მეი ძირს დაუშვებს თავის ზღვის შროშანებს.

„მცურავი კუნძული“ სიჩქარეს მოუკლებს და ფრთხილად ნამოვა ნაპირისკენ.

სანამ პანტონებისანი ნავი ნაპირს მოუახლოვდება, მეი დაიხრება, თავის ყვავილებს ძირს ფრთხილად დადებს და ფეხსაცმელებს გაიხდის, თანამეობთ ერთმანეთზე გადააბამს, მერე შარვალსაც აიკაპინებს ფეხებზე.

პანტონებისანი ნავი ნაპირიდან რამდენ-



დასასრული მე-16 გვერდზე

მიხომოსულიშვილი

HELESA

(ფრაგმენტი)

დასასრული

იმე მეტრზე ჩერდება, — მეტად ველარ მოდის ახლოს.

სანამ ფეხებაკაპინებული მეი თავის ზღვის შროშანებს და ერთმანეთზე თასმებით გადაბმულ ფეხსაცმელებს აიღებს და წამოდგება, რომ ზღვაში შევიდეს და ნაღვზე ავიდეს, იაშარ ბადიში გადმოდის ნავიდან.

ნუ მოდიხარო, — თავს აქნევს მეი, — მე თვითონ წამოვალო.

იაშარ ბადიში ყურადღებას არ აქცევს, ტანსაცმლიდან მიადგაფუნებს წყალში.

მეის შეწუხებული სახე აქვს, მაგრამ იმათ სილურჯეში დიდი კმაყოფილება გაჰმოჭვივის.

ბიჭმა შორიდანვე იცის მეის ეს კმაყოფილება და ყურადღებას არ აქცევს უარყოფით თავის ქნევას, მიუახლოვდება, ერთ ხელს ფეხებთან ნაატანებს, მეორეს მხრებზე და თავისი ზურგჩანთიდან, გადაბმული ფეხსაცმელებიდან და ზღვის შროშანებისა და აიყვანს.

მეი თვალებს დახრის, თორემ მზის სხივების შუქიც გამოუჩნდებოდა.

იაშარ ბადიში, ხელში აყვანილი მეითი უფრო ფრთხილად მიდის ნავისკენ.

მეი შეუჩერებლად ელაპარაკება და ელაპარაკება.

იაშარ ბადიში მხოლოდ ილიმის და ისევ ფრთხილად განაგრძობს გზას.

მეი ლაპარაკს აგრძელებს.

იაშარ ბადიში ჩერდება და რალაცას ეტყვის მუქარით.

მეის ეცინება.

იაშარ ბადიში თითქოს ზღვაში ისვრის გოგოს.

მეი ტყუილად იკვირებს...

იაშარ ბადიში იცინის და ნავში გადასვამს მეის.

მეი ნავიდან ხუმრობით მხარში ხელს ურტყამს ბიჭს და ისევ გამალებული ელაპარაკება.

იაშარ ბადიში იცინის და ნავში ადის.

პანტონიანი ნავის ორივე ძრავა ჩაირთვება და „მცურავ კუნძულს“ ზღვის სიღრმისკენ მიაცურებს.

მდინარე ჭურბია

ფოკა კირბიში თავისი ნავით ამ წაობებს შორის მომდინარე მდინარე ჭურბიას მიუყვება. მცურავს დინჯად, მოზომილად უსვამს ნიჩბებს.

უჩა ათვალიერებს მიდამოს.

ნავი გასცდება წაობების ზოლს, მერე ლემენტითა და დუმფარებით დაფარულ მდინარეში მიდის.

მდინარის ორივე ნაპირზე მაღალი მურყანის (თხმელის) ხეები მოჩანს, სადაც იშვიათად გამოჩნდება ლაფანი, იმერული მუხა ან ნეკერჩხალი, იფანი და რცხილა.

მდინარე ჭურბიას ორივე ნაპირზე გუმბათად გადმოსული ეს მცენარეები, თავიანთი სურათით, ლიანებით და ეკალდით, ასევე ქვეტყით — ერთმანეთში გადახლართული ბზის ბუჩქნარით, იელით, შქერით, თავისამართი, ბაძაკით თუ ძმერხლით გაუვალ ჯუნგლებს მიაგავს.

ფოკა კირბიში ხედავს, რომ მზეს ეფიცებებიან წყლიდან ამოშვერილ ხის მორებსზე მოკალატიებული ჭაობის კულები.

ნავის გასწვრივ მდინარეში მიიკლაკნება წყლის ანკარა გველი და ნაპირზე გადმონოლილი ხის ფესვებში მიიმალება.

ხიდან ხეზე გადაფრინდება ხოლმე დამფრთხალი ქორები და ყანჩები.

კირბიშების რეზინის ნავს კი წინ ლურჯი ალკუნნი მიუძღვის — თავისებურად, ერთობ მხიარულად მიიქნევს ფრთებს.

ფოკა კირბიში ერთგან გადაუხვევს, ნა-

პირზე მიაცურებს თავის ნავს, უჩა ნავიდან გადატანილ თოკს ხის ტოტზე გამოაბამს და ცალფეხაც ნაპირზე გადადის.

ფელუკა ზღვიდან

ძალიან ლამაზად მოჩანს ჭურბიას შესართავის სიახლოვეზე ღუზაჩაშვებული ფელუკა ზღვის სიღრმიდან, სადაც გამოუსერილია იაშარ ბადიშის და მეის.


პანტონიანი ნავს სწორედ ფელუკისკენ უჭირავს გეზი.

ნავის საჭესთან მეი დგას და გამოცდილი მეზღვაურივით გაჰყურებს ზღვას.

იაშარ ბადიში ღიმილით ელაპარაკება. მეი ლექსს ეუბნება:

მა სი მიყორქ სი ვავიჩქუ, სქანთ ვორექ დონაბადი. მიინალე, გოლვაფირო, მუჭით ცხენი დო ნაბადი...

ავტორი ქართულად ეგრე გადათარგმნის:



მე მიყვარხარ, შენ არ იცი, შენთვისა ვარ დანაბადი. მიმსახურე, გენაცვალე, როგორც ცხენი და ნაბადი.

მეი კისკისებს, ლურჯად უკამკამებს ლურჯი თვალები...

იაშარ ბადიში სურათს გადაუღებს თავისი მობილური ტელეფონიდან. მერე დილაკებს დააჭერს ხელს და მობილურის ეკრანზე გამოსულ გამოსახულებას დაანახვებს გოგოს.

მეი რალაცას ეუბნება და თავის მობილურს უწვდის.

იაშარ ბადიში გამოართმევს, მობილურის უკანა ნახევარს ქვემოთ დასწევს, ისე გადაუღებს ქალიშვილს სურათს და ახლა იმას აჩვენებს.

გახარებული მეი თავის მობილურს გამოართმევს და ახლა თავად გადაუღებს სურათებს საჭესთან დამდგარ ბიჭს. მერე სურათებს ეკრანზე გამოიტანს რიგ-რიგობით და კმაყოფილი დაჰყურებს.

— გამომიგზავნე ხოლმე შენი გადაღებული სურათები, — სთხოვს იაშარი.

— გამოგზავნა რომ არ ვიცი?... — ეკითხება გოგო.

— მოდი, გასწავლო...

იაშარ ბადიში ნავს შეაჩერებს.

მეი გაუწვდის თავის მობილურს.

იაშარ ბადიში უხსნის, როგორ უნდა სურათების გაგზავნა ერთი მობილური ტელეფონიდან მეორეზე, თან ყველაფერს პრაქტიკულად უჩვენებს.

მეი ვერ იგებს და საწყალ გამომეტყველებას მიიღებს.

იაშარ ბადიში ბრაზდება, მობილურს

მისცემს ქალიშვილს და ახლა თავისი ხელით აკეთებინებს მთელი ამ ფოტოსურათის გაგზავნის პროცედურას.

მეი თან ხვდება, თან — ვერა.

იაშარ ბადიში თავზე შემოიწყობს ხელებს და გამწარებული ფიქრობს, როგორ ასწავლოს გოგოს სურათების გამოგზავნა.

მერე თავისი მესაჭის ადგილიდან ბლოკნოტი და კალამი მოაქვს, მეის მისცემს.

მეი ღიმილით გამოართმევს ორივეს და ჩასანერად მოემზადება.

იაშარ ბადიში უხეშტებად აწერიწებს მთელი ამ გაგზავნის პროცედურას.

მეი გახარებულია. ბლოკნოტს თავის ზურგჩანთაში ინახავს, კალამს კი ბიჭს უბრუნებს.

იაშარ ბადიში კალამიან ხელზე ხელს მოკიდებს მეის და იმისი მლეღვარე მკერდისკენ გასწევს, — ეგეც შენთვის მიჩუქნაო.

მეი მადლობის ნიშნად ლოყაზე აკოცებს, იქვე ნითლება და ბიჭმა რომ ვერ შეამჩნიოს, თავისი ზღვის შროშანებს აიღებს.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

შეუძლია მოძრაობა, მაგრამ ორივენი ჩერდებიან, ვერტიკალურად წამოსწევენ სხეულის ზედა ნაწილებს, ერთმანეთისკენ წაიღებენ თავებს, საიდანაც გამოყოფილ ორკაპა ენებს ასავსებენ და ასე დგანან.

ესკულაპის მცურავების საქორნილო ცეკვის ეს ბოლო სურათი — ნელს ქვემოთ ერთმანეთზე შემოხვეული, ზემოთ წამოწეული და ერთიმეორის მაცქერალი გველებისა მიაგავს მუსიკალურ ინსტრუმენტს ლირას, რომელიც ერთი წიგნიდან ახსოვს უჩას...

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

იაშარ ბადიში და მეი კირბიში დგანან და ერთმანეთს უყურებენ.

„მცურავი კუნძული“ ფელუკასთან

პანტონიანი ნავი ისევ დაიძვრება ფელუკისკენ და რომ მიუახლოვდება, მოტორების გუგუნე მოაკლდება, ნელ-ნელა უახლოვდება ბორტს.

მეი თავის ზურგჩანთას მოიკიდებს, თასმებით გადაბმულ ფეხსაცმელებს დაიჭერს ცალ ხელში, მეორეში კი — თავის ზღვის შროშანებს და ფელუკაზე გადავა.

იაშარ ბადიში თავისი ნავის მოტორებს ჩართავს, ჯერ უკუსვლით წაიყვანს, მერე უფრო ხმამაღლა ააშუშავებს მოტორებს და საჭეს მოატრიალებს — „მცურავი კუნძული“ ფართო წრეს შემოხაზავს მდინარეში და ზღვისკენ აიღებს გეზს.

იაშარ ბადიში ფელუკისკენ გაიხედავს და ქალიშვილს ხელს დაუქნევს.

მეი ისევ ფელუკის ბორტთან დგას, გაბერილი ზურგჩანთით, ცალ ხელში თასმებით გადაბმული ფეხსაცმელებით და ზღვის შროშანებს გამოთხოვების ნიშნად უქნევს ბიჭს.

ნავი ზღვის სიღრმეში შედის, მერე სანაპიროს მიუყვება და მალე ჩაივარდება იქ, სადაც ჰორიზონტი და ნაპირი ერთდებიან თითქოს.

მეი ერთხანს კიდევ აკვირდება იმ მხარეს, სადაც პანტონიანი ნავი მიიკარგა.

მერე, სანამ ზღვისფერ თვალებში ის აბრჭყვიალებული შუქი ჩაუქრებოდეს, რალაცანი მორიდებით და მოწინებით ტალღებს გაატანს თავის ზღვის შროშანებს.

ზღვის დინება ნელ-ნელა სიღრმისკენ წაიღებს ყვავილებს.

ზღვის დინება ნელ-ნელა სიღრმისკენ წაიღებს ყვავილებს.

ზღვის დინება ნელ-ნელა სიღრმისკენ წაიღებს ყვავილებს.

ზღვის დინება ნელ-ნელა სიღრმისკენ წაიღებს ყვავილებს.

ზღვის დინება ნელ-ნელა სიღრმისკენ წაიღებს ყვავილებს.

ზღვის დინება ნელ-ნელა სიღრმისკენ წაიღებს ყვავილებს.

ზღვის დინება ნელ-ნელა სიღრმისკენ წაიღებს ყვავილებს.

ზღვის დინება ნელ-ნელა სიღრმისკენ წაიღებს ყვავილებს.

ზღვის დინება ნელ-ნელა სიღრმისკენ წაიღებს ყვავილებს.

ზღვის დინება ნელ-ნელა სიღრმისკენ წაიღებს ყვავილებს.